619
1952

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 12 დეკემბერი 1952



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!

# დროშა

№ 12 (17)

დეკემბერი 1952 წ.

ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
სალიტერატურო-
სამხატვრო
ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი“



სტალინი — სემინარისტი
მოქანდაკე ს. კაკაბაძე

5073

გარეკანის პირველ გვერდზე:
ი. ბ. სტალინის მონუმენტი ქ. გორში.
მოქანდაკეები: შ. მიქატაძე და ე. მაჩაბელი.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

მეორე გვერდზე:
«დედის დარიგება»—მხატვარი შ. ცხადაძე.

მესამე გვერდზე:
ნაძვის ხე — ფოტოეტიუდი ვლ. გინზბურგისა.

მეოთხე გვერდზე:
გორის პარკის ხედი.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

ჩანართის პირველ გვერდზე:
ი. ბ. სტალინი კრეისერ «მოლოტოვზე».
მხატვარი ვ. შერპილოვი.

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

# ხალხთა ძმობის კერა



„ისევე როგორც სტალინი, ეს სახლიც მთელი მსოფლიოს ხალხებს ეკუთვნის. დიდი სტალინის კერა უნდა ნახონ ყველა ქვეყნის მშრომელებმა“.

ასე ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. შარკიმ.

გორის ნახვა მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების ოცნებად არის გადაქცეული. ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ყოველდღე ასობით ადამიანი ჩამოდის გორში, რათა ნახონ საყვარელი სტალინის დაბადების ადგილი.

14 წლის მანძილზე მილიონმა კაცმა ნახა ბელადის სახლი. აქ ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ეს წმიდათა-წმიდა ადგილი არის სათავე მათი ძმობისა და მეგობრობისა.

ამ დიად კერასთან ისინი ერთმანეთს ეფიცებიან, რომ იდგებიან მშვიდობის სადარაჯოზე და ხელიხელ ჩაჭიდობილნი ივლიან დიდი სტალინის ნაჩვენები გზით.

მე ვნახე, როგორ შეხვდნენ ბელადის სახლთან ერთმანეთს რუმინელი გლეხები და ქართველი კოლმეურნეები. მათ არ იცოდნენ ერთმანეთის ენა, მაგრამ მოზღვავებულ გრძნობებს, განა ესაჭიროება სიტყვები! ისინი ერთურთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს, როგორც დიდი ხნის ნაცნობებმა და მეგობრებმა. როცა რუმინელმა და ქართველმა მიწის მხვნელ-მთესველებმა სტალინის სახლი დაათვალიერეს, მასპინძლებმა სტუმრები თავიანთ კოლმეურნეობაში მიიპატიჟეს.

ამას წინათ გორში სტალინის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად ჩამოვიდნენ თავისუფალ ჩინეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

დიდხანს, დიდხანს ათვალიერეს მაო ძე-დუნის ქვეყნის შვილებმა ბელადის სახლი, უნდოდათ ხელით შეხებოდნენ თვითეულ ნივთს, ყველაფერი ღრმად აღებეჭდათ გონებაში, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩინელ ახალგაზრდობისათვის ეამბნათ ყოველივე ის, რაც აქ, სტალინის სახლ-მუზეუმში ნახეს.

ბელადის სამშობლო ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო ჩინელი სტუმრების ჩამოსვლის ამბავი. ბელადის სახლს მოაწყდნენ გორელი ფეიქრები და მეკონსერვეები, მშენებლები და მოსწავლეები. აქვე იყვნენ მოსკოველი სტუდენტები, დონბასელი მემაღაროელები, აზერბაიჯანელი კოლმეურნეები.

ჩინეთისა და საბჭოთა ქვეყნის შვილები მეგობრულადართმევდნენ ერთმანეთს ხელს, ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ. გულითადი მეგობრობის ნიშნად ჩინელმა სტუმრებმა საბჭოთა ახალგაზრდებს დაუბნიეს სამკერდე ნიშნები მაო ძე-დუნის სურათით.

უცბად ბაიანის ტკბილი ხმა გაისმა. გაჩაღდა ცეკვა. ერთდროულად ცეკვავდა რამდენიმე წყვილი. ჩინელი ჭაბუკი და ქართველი ქალიშვილი, რუსი ჭაბუკი და ჩინელი ქალიშვილი...

უსაზღვრო იყო საბჭოთა ადამიანების სიხარული, როცა ჩინელმა სტუმრებმა „დილა“ იმღერეს. ჩინელებთან ერთად მღეროდნენ რუსები და აზერბაიჯანელები, უკრაინელები და ქართველები. სხვადასხვა ენაზე შეწყობილი სიმღერის ჰანგები მოაღერსე ნიავივით ეფინებოდა არე-მარეს. ეს იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიადი სიმღერა.

გამომშვიდობებისას სტუმრებმა ჩინეთიდან ჩამოტანილი დიდი სტალინის პორტრეტი გადასცეს გორელ მოსწავლეებს და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერეს:

„ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ამხანაგ სტალინის — ჩინელი ხალხის ყველაზე ახლობელი მეგობრისა და მასწავლებლის სახლ-მუზეუმი. ამ მგზავრობის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა ამიერკავკასიაში. სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ ჩინეთის ახალთაობას აღვზრდით ამხანაგ სტალინის მოძღვრების სულისკვეთებით“.

ვინ არ ყოფილა ბელადის სახლში, რომელი ქვეყნის მშრომელები არ დამტკბარან მისი სიდიადით. აქ, ბელადის სახლში, ერთნაირ აღტაცებასა და სიხარულს განიცდიან ჩინელები თუ კორეელები, პოლონელები თუ ჩეხები, რუმინელები თუ ბულგარელები, მონღოლები თუ ალბანელები; აგრეთვე ინდოეთის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის და მსოფლიოს ყველა ხალხების წარმომადგენლები.

ამას წინათ სტალინის სახლი დაათვალიერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა მარი კასენმა. ფრანგი ხალხის ამ სახელოვან ქალს მეორე მსოფლიო ომის დროს 28 ახლობელი დაეღუპა. როცა გერმანელმა ფაშისტებმა საფრანგეთის ოკუპაცია მოახდინეს, მარი კასენი თავის ვაჟიშვილით პარტიზანებს შეუერთდა. იარაღით ხელში რამდენიმე წელი იბრძოდა იგი საფრანგეთის განთავისუფლებისათვის.

მთელი საათი ათვალიერა მარი კასენმა სტალინის სახლ-მუზეუმი. განსაკუთრებით მოხიბლა იგი ბელადის დედის პორტრეტმა, გაბრწყინებული თვალებით უცქეროდა ლეჩაქ-ბაღდადით თავდახურულ ეკატერინე გიორგის ასულს და თავისთვის ბუტბუტებდა: „გმადლობ, დედავ, გმადლობ, დედობა შენ გეთქმის!“.

კორეელი ხალხის სახელოვანი ქალიშვილი პაკ დენ აიც იყო გორში. გორის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე, პაკ დენ აის წითელყელსახვევიანი ბავშვები შემოეხვივნენ. პიონერებს შორის იდგა იგი და შუა ქუჩაში მიაბიჯებდა ბელადის კერისაკენ. ირგვლივ გაისმოდა ბავშვების წკრიალა ხმები, ცაში დანავარდობდნენ მზის სხივებში გახვეული თეთრი მტრედები.

პაკ დენ აი მკერდში იკრავდა გორელ პიონერებს, მშობლიურად უალერსებდა.

უცბად ყველამ გარკვევით დაინახა, თუ როგორ აემღვრა თვალები და რამდენიმე ცრემლი გადმოვარდა მორანბონის მთასავით უდრეკ კორეელი ხალხის სახელოვან ქალიშვილს. ეს ყველაფერი მოხდა სულ რაღაც ათიოდე წამის მანძილზე.

ნეტავი რა იყო ამის მიზეზი?!

მოზღვავებული სიხარული, თუ გახსენება კორეის ცეცხლწაკიდებულ ქალაქებისა, რომელთა აოხრებულ ქუჩებში გაისმის უპატრონოდ დარჩენილ და დაჭრილ ბავშვების გულსაკლავი კვნესა-გოდება.

გორელმა პიონერებმა პიონერული ყელსახვევები გადასცეს პაკ დენ აის და სთხოვეს, რომ გორელი პიონერებისაგან საჩუქრად გადაეცა გმირი კორეელი ბავშვებისათვის.

— შევასრულებ თქვენ თხოვნას, ძვირფასო ბავშვებო, — მიუგო პიონერებს პაკ დენ აიმ. — ამ ყელსახვევებს საზეიმო ვითარებაში გადავცემ კორეელ ბავშვებს, რომლებიც დიდებთან ერთად გმირულად იბრძვიან ამერიკელ დამპყრობთა წინააღმდეგ...

ამაღელვებელი სიტყვები ჩაწერა პაკ დენ აიმ შთაბეჭდილებათა წიგნში:

„კორეელი ხალხი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე იმყოფებოდა იაპონელ იმპერიალისტთა უღელქვეშ, განთავისუფლებული იქნა საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლების შედეგად, ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

სიტყვას ვერ ვპოულობთ, რომ გამოვთქვათ ღრმა გრძნობა, რასაც განვიცდით ჩვენ, კორეელი ხალხის წარმომადგენლები, რომელთაც ათასეული კილომეტრი გადმოვლახეთ, რათა გვენახა ამხანაგი სტალინის დაბადების ადგილი“.

სტალინის სახლში იყვნენ აგრეთვე მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები ჰიულეტ ჯონსონი და ერიბერტო ხარა, საფრანგეთის გმირი ქალიშვილი რაიმონდა დიენი და სხვა ათასობით უცხოელი.

ჯერ კიდევ 1942 წელს საბჭოთა არმიის რიგით მებრძოლს შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი სტრიქონები ჩაუწერია.

„მშობლიურო გორო, მალე იზეიმებ ამ სახლის ეზოში სტალინის საქმის გამარჯვებას.

გაივლის ათეული, ასეული, ათასეული წლები. მსოფლიოს ყველა კუთხის თავისუფალ ადამიანთა მილიონების დენა დიდი სტალინის სახლისაკენ გიგანტურად გაიზრდება და ეს იქნება მანამდე, სანამდე კაცობრიობის ისტორია გაგრძელდება“...

ეს ჭეშმარიტად მართალი სიტყვებია.

ყოველდღიურად იზრდება სტალინის სახლისაკენ თავისუფალ ადამიანთა მილიონების დენა. ჩვენი სახელოვანი პოეტის გიორგი ლეონიძის თქმისა არ იყოს, „დიდის მშობელი პატარა გორი გახდა მსოფლიოს დასანატრელი“.

დიახ, პატარა გორი არის მსოფლიოს დასანატრელი ქალაქი. გორისკენ, ბელადის კერისკენ მოისწრაფიან ყველა ქვეყნის ხალხები. ბელადის მშობლიური სახლი არის და მუდამ იქნება ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის დიადი კერა.

ივანე ურჯუმელაშვილი



ფოტოზე: ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია ი. ბ. სტალინის სახლის წინ, ქ. გორში.

# ერთი დღე გორში

### წიგნიდან „ოცი დღე საბჭოთა კავშირში"

სხვა საჩუქრებთან ერთად საქართველოდან ალბანეთში მე ჩამოვიტანე ორი ვარდი· ისინი იმ ბაღშია მოწყვეტილი, რომლითაც გარშემორტყმულია უძვირფასესი ძეგლი — ამხანაგ სტალინის სახლი გორში.

საქართველოს დედაქალაქიდან გორამდე ორნახევარი საათის სავალია. მიუხედავად ამისა, ეს გზა მოკლედ გვეჩვენა. თბილისში ჩვენ ვეწვიეთ სკოლებს, უნივერსიტეტს, სამრეწველო კომბინატებს და ვიხილეთ ის, რის შესახებაც ვერც ერთ წიგნში ვერ წაიკითხავს კაცი. ჩვენ ვიმყოფებოდით საქართველოში, იმ ადამიანის სამშობლოში, რომელიც ესოდენ ძვირფასი და საყვარელია მთელი კაცობრიობისათვის.

საქართველოში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, დიდი პატივისცემითაა გამსჭვალული ხალხი ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი. შავთვალწარბა ახალგაზრდა ქართველი, რომელიც ჩვენ თან გვახლავს, ვრცლად მოგვითხრობს თავისი ქვეყნის შესახებ.

აი, მივადექით მდინარეს. იგი თავაწყვეტილი მოექანება, თითქოს იმის დამტკიცება უნდა, რომ ვერავინ და ვეღარაფერი აღუდგება წინ მის სრბოლას ამ ათასწლოვან გზაკალაპოტზე. მაგრამ ვიწრო ყელში, რომელიც ორ გორაკს ჰკვეთს, ახალი თაობის ნებისყოფასა და მარჯვენას საგუბარი აუგია და მდინარე ახლა ადამიანს ემსახურება.

საგუბართან აღმართულია ძეგლი: ლენინი. მდინარისკენ გაწვდილი მისი ხელი გვიჩვენებს ადამიანის გამარჯვებას ბუნების ძალებზე. მოშორებით მოჩანს რომის იმპერიის დროინდელი ხიდის ნაშთი. გადმოცემის მიხედვით ის პომპეუსს აუგია. ზემოთ, წყალგაღმა, ციცაბო კლდის თხემზე ციხე-სიმაგრე მოჩანს, ხოლო მის გალავანში ის მონასტერია, რომელიც ლერმონტოვმა უკვდავყო თავის პოემაში. ქვემოთ მდინარე არაგვის პირას, დაცემულ ველზე დგას დიდი ობელისკი. მდინარის ამ ზურმუხტოვან ნაპირზე აღმართული ობელისკი ალბათ საქართველოს დიდ ისტორიულ მოვლენასთანაა დაკავშირებული. მაგრამ აქ მე უკვე ვეღარ ვასწრებ ჩავიწერო გამყოლის ახსნა-განმარტება, რადგან ახლა იგი სულ სხვა რამეზე მოგვითხრობს და მეუხერხულება სიტყვა გავაწყვეტინო.

კლდოვანი მთები
მობიბინე მწვანე ჭალები,
აზვირთებული ყანები და ზვარ-ვენახები,
შემდეგ მდინარე...გაღმით სოფელი...

პოეტ ჩაიუპის ამ სტრიქონებს ზეპირად ვამბობ მანქანაში, რომელიც წარმტაც ველგორაკებს სწრაფად იტოვებს უკან და გორისკენ მიგვაქროლებს.

საოცრად ჰგავს საქართველოსა და ალბანეთის ბუნება ერთმანეთს. აი, კავკასიონის თოვლით შევერცხლილი მწვერვალები, ტყით დაფარული ფერდობები; უფრო დაბლა ბორცვები, შემდეგ მშვენივრად დამუშავებული ბაღ-ვენახები, და ხოდაბუნები. მომხიბლავ სოფლებს მოსდევენ კოხტა ქალაქები, ხოლო შორს, აქედან ძალიან შორს მდებარეობს განსაცვიფრებელი და ზღაპრული სილამაზის მქონე შავი ზღვის სანაპიროები.

არ ვიცი რად, მაგრამ ამ წუთში მომაგონდა ალბანეთის ლაჟვარდოვანი ცა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დღეები და ჩემი გული კიდევ უფრო მეტი სიყვარულით აძგერდა სოციალიზმის დიადი სამშობლოსადმი, მხიარული და პატიოსანი ცხოვრების მშენებელი საბჭოთა მილიონებისადმი, საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

მიჰქრის ავტომანქანა... ვხედავ სკოლისაკენ მხიარულად მიმავალ გოგონებსა და ვაჟებს. კოლმეურნეობათა თვალუწვდენელ მინდვრებზე მუშაობენ კაცები და ქალები. ისმის ტრაქტორების რიტმული გუგუნი, ისინი ღრმად ხნავენ ამ ბარაქიან მიწას. ეს გუგუნი სიმღერაა იმ თავისუფალ ადამიანთა, რომელნიც მომავლის საძირკველს აგებენ. ადამიანები იღიმებიან და ეს ღიმილი მზის გასხივოსნებას ჰგავს...

გორში ჩვენ გულთბილად გვხვდებიან უბრალო ადამიანები.

მდინარე ლიახვის პირად მდებარეობს ეს პატარა ქალაქი. ლამაზად გამოიყურება აყვავებულ ბაღებში ჩამდგარი კოპწია სახლები.

აი, ჩვენ უკვე სტალინის სახლში ვართ. პატარა სახლი, აგურით აგებული და კირით შეთეთრებული. სახლს ირგვლივ უვლის მდინარის ქვიშით მოფენილი გზა. თვით სახლი ორი ოთახისაგან შედგება. დიდ ოთახში დგას საოჯახო ავეჯი და ნივთები: ძველებური ნოხით დაფენილი ტახტი, მუშამბიანი პატარა სასადილო მაგიდა, მაგიდაზე – ლამპა, დოქი და სარკე. კედლის გასწვრივ: განჯინა, კიდობანი, სამი უბრალო სკამი; ტახტის ზემოთ ჰკიდია ნემსების მისაბნევი პატარა ბალიში.

აქ დაიბადა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, კარლ მარქსის ღირსეული მოწაფე, ლენინის ამხანაგი და ერთგული თანამებრძოლი, მისი საქმის განმგრძობი, მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი მამა, დედამიწის ყველა ხალხთა იმედი და ნუგეში.

დიდი გენიოსის ცხოვრების ისტორია შუქად მოეფინება ხოლმე ადამიანთა აზრს და ახლა ჩვენთვის ყველაფერი ნათელია: სტალინი — ეს თვით უბრალო ხალხია. სტალინი — ეს უბრალო ადამიანთა ნებისყოფის, ძლიერების, შემოქმედი აზრისა და შემართების განსახიერებაა.

დღეს იგი, მრავალ გამარჯვებათაგან სხივმოსილი, კრემლში არის და მასთანაა მთელი ხალხი. ყოველ დღესასწაულზე, წითელ მოედანზე, მწყობრად ჩაივლიან მის წინ ბრძოლისა და სოციალისტური შრომის გმირები,—იმ უბრალო ადამიანთა შვილები, რომელნიც სტალინის გენიამ ბნელეთიდან სინათლეზე გამოიყვანა. აი, ეს სინათლეა, გზას რომ უშუქებს მთელს კაცობრიობას!

ქართველები თვალისჩინივით უვლიან სტალინის სახლს გორში და უფრთხილდებიან მას, როგორც უდიდეს ძეგლსა და განძს. თლილი მარმარილოს მაღალი სვეტებითაა იგი შემოვლებული. მშვენიერი ხეებითა და ვარდყვავილებით მორთული ბაღი გარშემორტყმია ამ ძეგლს. იქვეა ახალი შენობა, რომელშიც მოწყობილია სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. საბჭოთა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა მას უძღვნეს თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებნი.

გამოფენაზე მომუშავე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თითქოს ხელის გულზე აქვსო დაწერილი ყველაფერი ის, რაც მან იცის სტალინის შესახებ, მოგვითხრობს მისი ბავშვობის ზოგიერთ დამახასიათებელ ეპიზოდს.

— ახალგაზრდა სტალინი სხვათა შორის კარგი პოეტიც იყო... მან გაიშვირა საჩვენებელი ჯოხი იქვე დაკიდულ მოზრდილ სურათისაკენ და განაგრძო:

— 1895 წელი. ჭაბუკ სტალინს ჯერ კიდევ არ შესრულებია 16 წელი. იგი უკითხავს საკუთარ ლექსს გაზეთ ,,ივერია''-ს რედაქტორს.

— საკუთარ ლექსს? — გაკვირვებით კითხულობს ერთი ჩემი ამხანაგი, რომელსაც უცებ ეგონა, იქნებ მომეყურაო.

— დიახ, საკუთარ ლექსს. ,,ივერიაში'' ახალგაზრდა სტალინის რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა.

ჩემმა ცნობისმოყვარეობამ იმატა.

— მითხარით, თუ შეიძლება, ვინ იყო ის რედაქტორი?

— ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

— ილია ჭავჭავაძე? თითქოს სადღაც გამიგონია...

— სწორედ ილია ჭავჭავაძე! — დამიდასტურა მან — თქვენ ალბათ თბილის-გორის გზატკეცილის გასწვრივ, წყალგაღმა, შენიშნავდით ობელისკს, აღმართულს...

—დიახ, დიახ, გზატკეცილის მახლობლად.

— სწორედ ისა. — და თითქოს მწარე და არასასიამოვნო რამ მოაგონდაო, განაგრძო: იმ ადგილას, 1907 წელს მეფის ჟანდარმებმა მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ის ობელისკი ამ შემთხვევისა და თარიღის აღსანიშნავადაა იქ აღმართული. სტალინი გვასწავლის — გვიყვარდეს და პატივს ვსცემდეთ ხალხის მსახურთ.

ყოველთვის, როდესაც მე ამ ვარდებს ვუცქერი, რომელსაც ასე მოწიწებით ვინახავ სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, ჩემი ფიქრი მიფრინავს შორს, ძალიან შორს აქედან. ვხედავ გორში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატარა სახლს, მარმარილოს სვეტებით გარშემოვლებულს, მის ეზოს, მორთულს ვარდ-ყვავილებითა და ხეებით, ვხედავ გამოფენას, მიძღვნილს დიდი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ვხედავ, აგრეთვე, მდინარე არაგვის ნაპირზე სტალინის მითითებით აღმართულ მშვენიერ ობელისკს, საბჭოთა ადამიანებმა რომ უძღვნეს საქართველოს დიდ პოეტს ი. ჭავჭავაძეს.

სტალინი სიმართლის შუქია — ამბობს თითქოს ეს ობელისკი.

**შევქეთ მუსარაი**, ალბანეთის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი



,,იტალია — საბჭოთა კავშირის" საზოგადოების დელეგაციის წევრი ჯულიო ტრევიზანი თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატთან არსებულ საბავშვო ბაღში.



# ბელადის მონუმენტი გორში

ნოდარ ჯანბერიძე

ა. წ. 2 ნოემბერს გორის მშრომელებმა, მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად, ზეიმით გახსნეს მშვიდობის დიდი მედროშის, გენიალური ბელადის დიდი სტალინის მონუმენტი.

ერთმანეთს ერთვის საქართველოს ჰიმნის დიდებული ხმები და მოზეიმე ხალხის მქუხარე „ვაშა". ჰაერში ფრენს და მონუმენტს გარს ევლება მშვიდობის სიმბოლო—თეთრი მტრედების გუნდი...

საბურველი იხსნება და მშრომელებს წარმოუდგება პოლირებული გრანიტის მუქ-ნაცრისფერ ათმეტრიან კვარცხლბეკზე აღმართული, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ექვსი მეტრის სიმაღლის სკულპტურული ფიგურა. მონუმენტის ავტორებია მოქანდაკეები შ. მიქატაძე და ე. მაჩაბელი, არქიტექტორები — ზ. და ნ. ქურდიანები.

ფიგურა მარტივად და სადად დგას. ბელადი გამოსახულია თავისუფლად მდგომი, უქუდოდ, გახსნილი პალტოთი. მარჯვენა ხელი ოდნავ მოხრილია ნიდაყვში, მარცხენა ჩამოშვებული აქვს. მონუმენტის პროპორციები და მასშტაბი ჰარმონიულ ერთიანობაშია და ამიტომ მისი სილუეტი მეტყველი და დასამახსოვრებელია. ქანდაკების სილუეტს ამდიდრებს პალტოს ნაოჭებიც. ქანდაკება ხედვის სხვადასხვა წერტილიდან ახლებურად აღიქმება. ავტორები სწორად მოიქცნენ, რომ ასე დეტალურად დაამუშავეს პორტრეტი, რადგან მონუმენტის ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ს ი მ ა ღ ლ ე სახის დაწვრილებით განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ავტორებმა შესძლეს ბელადის გამოხედვაში გადმოეცათ ტიტანური შინაგანი ძალა, შორსმჭვრეტელობა და სიდიადე. გამჭრიახი გამოხედვა, დაუშრეტელი ენერგია, ხასიათის სიმტკიცე, სისადავე, უბრალოება და სითბო, რაც ასე ახასიათებს დიდ ბელადს, ნათლადაა აღბეჭდილი სკულპტურულ სახეში. ეს პორტრეტი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ბელადის მხატვრულ სახის შექმნაზე მომუშავე საბჭოთა მოქანდაკეების ნაწარმოებთა შორის და ავტორების დიდ შემოქმედებით გამარჯვებას წარმოადგენს.

ნამდვილად რეალისტური ფორმებით ამეტყველებული საერთო სახალხო იდეა, ჩაქსოვილი ამ მაღალმხატვრულ ნაწარმოებში, გამოხატავს უდიდეს სიყვარულს მოწინავე კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასი ადამიანისადმი.

ქანდაკების პლასტიკური ფორმები სადა, და ლაკონიურია. მნახველი პირველ შეხედვისთანავე თავისუფლად აღიქვამს მათ, პირველ შეხედვისთანავე აღიქვამს იმ დიდ იდეურობას, რომელიც საფუძვლად უდევს მონუმენტს.

მონუმენტის მაღალი იდეურობა კიდევ უფრო ძლიერდება მის ძირში ტრიბუნის მოწყობით: ამ ტრიბუნის წინ სადღესასწაულო დღეებში სახალხო ზეიმი გაიმართება. ეს თავისებური გამოხატულებაა ბელადის გარშემო ჩვენი ხალხის დარაზმულობისა, ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი, პირადად დიდი სტალინისადმი უდიდესი ერთგულებისა და სიყვარულისა.

მონუმენტურ ქანდაკების მხატვრულ გადაწყვეტისას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ქანდაკების დაკავშირებას კვარცხლბეკთან, მათ შორის ორგანულ კავშირს, მთლიანად მონუმენტის ადგილს საერთო ხუროთმოძღვრულ ანსამბლში. გორის მონუმენტში ეს ამოცანაც სწორად არის გადაწყვეტილი.

კვარცხლბეკის ფუძეს, როგორც აღვნიშნეთ, ტრიბუნა წარმოადგენს. იგი მომრგვალებული კუთხეებით ერტყმის წინიდან კვარცხლბეკს. ტრიბუნაზე ასასვლელი საზეიმო კიბეები წინიდანაა მოწყობილი და, ამგვარად, ჩართულია მთლიან კომპოზიციაში. ტრიბუნის დონიდან ვერტიკალურად იზრდება კვარცხლბეკი. მისი პრიზმი დგას დაფერდებულ გვერდებიან ცოკოლზე.

კვარცხლბეკი და ტრიბუნა სადა და მარტივ გეომეტრიულ ფორმებითაა აგებული. ავტორებმა კვარცხლბეკი ტრიბუნის დონიდან პირდაპირ კი არ აღმართეს, არამედ დაფერდებული წახნაგებით შექმნეს თავისებური საფუძველი და მასზე მოათავსეს კვარცხლბეკი. ამით მათ მიაღწიეს ფიგურასა და კვარცხლბეკს შორის ოპტიმალურ შეფარდებას (ერთი ერთთან) და იმავე დროს, ფიგურასა და კვარცხლბეკს შორის ორგანულ ერთიანობას. ტრიბუნაზე ასასვლელი კიბეების საფეხურები, რომლებიც წინიდან გახსნილია, ხაზს უსვამს მონუმენტის ცენტრს. ჰორიზონტალურ მასათა რიტმი ჰარმონიულად ერთვის კვარცხლბეკის ვერტიკალურ მასას.

ქანდაკება კვარცხლბეკზე ისე დგას, რომ ფიგურა, კვარცხლბეკი და ტრიბუნა გაწონასწორებულია ერთმანეთთან: მთლიანად მონუმენტი არქიტექტონიკურია და სილუეტი მდგრადია.

მონუმენტი წარმოადგენს სტალინის სახელობის მოედნის არქიტექტურული ანსამბლის იდეურ და კომპოზიციურ ცენტრს. იგი მოედნის იდეური დომინანტია და ამის შესაბამისად იქვემდებარებს მოედნის სხვა ხუროთმოძღვრულ ელემენტებს და აორგანიზებს, აწესრიგებს მათ. მონუმენტის ფონი—თეთრი ექლარის ქვით მოპირკეთებული, შუაში გუმბათით დაგვირგვინებული შენობაა. ბრინჯაოსა და გრანიტის მუქი ფერი კარგად „წაიკითხება" ამ ფონზე, კიდევ უფრო გამოყოფს მონუმენტის მნიშვნელობას მოედანზე.

დიდი სტალინის მონუმენტის შექმნა გორში ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთოდ ჩვენ ცხოვრებაში, და არა მარტო ავტორების, არამედ მთელი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების უეჭველი წინსვლისა და მხატვრული მომწიფების მაჩვენებელია.

დიდებით მოსილ, ბედნიერ ქალაქის შუაგულში აღმართული დიდებული მონუმენტი, ისევე, როგორც ისტორიული სახლი ბელადისა, აღაფრთოვანებს გორის მშრომელებს ახალ-ახალი მიღწევებისათვის, ახალ ძალასა და ენერგიას მატებს მათ კომუნიზმის მშენებლობისათვის.

# მშვიდობით, ციმლა! გამარჯობა, ვოლგა!

ციმლიანსკის ზღვის კიდიდან მზემ თავისი პირველი სხივები სტყორცნა, წყლის ზედაპირზე გაინავარდა და თვალუწვდენელ ტრამალს გადაევლო. ყორღანზე არწივი შეფრთხიალდა, მძლავრი ფრთები შემოჰკრა და მზის შესაგებებლად აფრინდა.

ციმლიანსკის სანაოსნო არხის თეთრკედლებიან რაბიდან შავჰვრემანმა, თმახუჭუჭა, მკვირცხლმა ჭაბუკმა ჩამოირბინა, პეშვით წყალი ამოიღო, მტკნარი, მაგრამ თავისი მშფოთვარე, დაუდგრომელი ხასიათით, სავსებით ზღვის წყალი.

— მშვიდობით, ციმლა! — წამოიძახა ჭაბუკმა, — დღეს მივემგზავრებით. დროა ახლა სხვა კაშხალი შევმოსოთ ბეტონით.

ბეტონის ავტომატური ქარხნები—საბჭოთა ტექნიკის უდიდესი მიღწევაა. ამ ქარხნებში ბეტონის დამზადების მთელი საწარმოო პროცესი ავტომატურად ხდება, ადამიანის ხელგარეშეობის გარეშე. მაგრამ ადამიანი მაინც მბრძანებელი რჩება მთელი ამ რთული აგრეგატებისა, და იგი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს მათ.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, რომელიც სავსებით დაეუფლა ახალ, რთულ ტექნიკას, არის მზიური საქართველოს შვილი გივი სიხარულიძე—ციმლიანსკის ჰიდროკვანძის ბეტონის ავტომატური ქარხნის დოზირების განყოფილების ოპერატორი.

მოკლე ხანში მან შეისწავლა ქარხანა-ავტომატის მოწყობილობა, ბეტონის დამზადების ტექნოლოგია, შეითვისა პულტის მართვა. რთული მექანიზმები ემორჩილებიან ოპერატორის ხელების მოძრაობას. მოატრიალებს ოპერატორი საბრუნს, თით დააჭერს ღილს... ავტომატები მიაწოდებენ ცემენტს და ინერტულ მასალას—ქვიშას, ხრეშს, ღორღს, მოუზომავენ თვითეულ ბეტონსარეველას თავის „წილს", დატვირთავენ და მერე ზუსტად წუთი-წუთში— იძლევიან მზა ბეტონს. მტკიცედ და გაბედულად მართავს გ. სიხარულიძე ქარხნის აგრეგატებს და შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევს. ბეტონის მიწოდება არც ერთხელ არ შეწყვეტილა მის ხელში.

გივი პახომის ძე სიხარულიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ამჟამად იგი მუშაობს კუიბიშევის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე.

სხვა ვინმეს რომ ეამბნა, გივი სიხარულიძე, ალბათ, არ დაუჯერებდა, მაგრამ იგი ხომ თავისი თვალით ხედავს: იმ ადგილას, სადაც ოცი თვის განმავლობაში აზიდული იყო დღისით და ღამით ცემენტის მომწვანო ნისლში გახვეული ბეტონის დიდი ქარხნის კოშკები, სადაც იგი, — ბათუმელი ჭაბუკი, — დამოუკიდებლად განაგებდა მართვის პულტს, ახლა ნაირფეროვანი ყვავილები ჰყვაოდა, ბავშვებს ჟრიამული გაჰქონდათ...

არცთუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც გივი კაზაკთა ერთ-ერთ ხუტორში ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობის უფროსს ვასილი ბარაბანოვს ესაუბრებოდა. ეს იყო 1951 წლის იანვრის ერთ სუსხიან დილით:

— გამიგონეთ, მე ხომ კომკავშირელი ვარ, ჩემი ადგილი აქაა. აი, ნახეთ საერთო კრების გადაწყვეტილება, — ცხარედ ელაპარაკებოდა გივი და ხელში ქაღალდს ატრიალებდა.

— მაინც, რის გაკეთება შეგიძლიათ? — ეკითხებოდა ბარაბანოვი, წინდაწინ დარწმუნებული იმაში, რომ ამ ჯიუტ ყმაწვილს არავითარი პროფესია არ გააჩნდა, მაგრამ უკან მაინც არ გაბრუნდებოდა.

— თხუთმეტ დღეში ბეტონის დიდი ქარხნის ოპერატორი ვიქნები, — მტკიცედ განაცხადა სიხარულიძემ.

— თხუთმეტ დღეში?! — გაოცდა მშენებლობის უფროსი. — მაგრამ ის თუ იცი, რომ ოპერატორი ბეტონის შექმნის მთელ პროცესს ხელმძღვანელობს: იგი აწესრიგებს ცემენტის, წყლის, სილის, ხრეშის მიწოდებას, განაგებს ბეტონსარეველას მუშაობას.

— ვიცი. მატარებელში ამიხსნეს, რომ თქვენს მშენებლობას „ბეტონის სახელმწიფო" ეწოდება, — უპასუხა გივიმ. — ჩემი თვალით ვნახე: აქ ყველაფერი ცემენტის მომწვანო ფერადაა შეღებილი — მანქანები, ადამიანები, მიწა. სადაც არ შეიხედავ, ყველგან ისმის — „ბეტონს ეს უყვარს", „ბეტონი მოითხოვს", თითქოს ცოცხალი არსება იყოს ბეტონი.

— აბა რა გეგონა, — გაუხარდა ბარაბანოვს, — ჰოდა, მადლობა მითხარი, სამთვიან კურსებზე რომ გაგგზავნო. განა დიდი ხნით? მხოლოდ სამი თვით.

— თხუთმეტ დღეში ოპერატორი ვიქნები! — კიდევ უფრო მტკიცედ და გადაჭრით უპასუხა გივიმ.

— წარმატება მისურვებია. ოღონდ, იცოდე, მე თვითონ გამოგცდი, — დაუმატა ბარაბანოვმა.

...ქარხანა პირქუშად შეხვდა გივის. დიდ დარბაზში, სადაც მართვის პულტი იდგა, საშინლად ციოდა. ერთ-ერთმა მომუშავემ, გივი რომ დაინახა, გაიფიქრა, უთუოდ სამხრეთელიაო, და უთხრა:

— აქ რამ მოგიყვანა, ყმაწვილო? თავს უშველე, სანამ გვიან არ არის.

გივიმ სრულიად სერიოზულად უპასუხა:

— არა, ძმაო, უკეთესი ადგილი ამჟამად მე არსად მეგულება. ზედგამოჭრილია ჩემთვის, ჩემი გვარი სიხარულიძე გახლავთ. სიხარული ყველგან და მუდამ ჩემთანაა.

მართალია, იყო დრო, — მაშინ გივი 13 წლის თუ იქნებოდა, — როცა ბიჭუნას უღალატა სიხარულმა და მის გულში სევდამ დაისადგურა. გივის მამა — პახომ სიხარულიძე — მაშინ ფრონტზე იყო. — ომის მესამე თვე დგებოდა, და გივი მთელი თავისი არსებით ცდილობდა როგორმე მოქმედ არმიაში მოხვედრილიყო. ყოველდღე ატუზული იყო ბათუმის სამხედრო კომისარიატის კარებთან, მაგრამ არაფერმა გასჭრა — ჯერ უნდა ისწავლოო — ეუბნებოდა სამხედრო კომისარი. მაშინ გივი ზღვაზე მიდიოდა ხოლმე — ხან თევზაობდა, ხან ბანაობდა და გულში ათასგვარ საგმირო საქმეებს ჩადიოდა სამშობლოს სასახელოდ.

გადიოდა დრო.

და აი, 1944 წლის ადრე გაზაფხულზე კვლავ დაუბრუნდა გივის სიხარული. იგი ერთ-ერთ გემზე მოეწყო და რამდენიმე რეისიც კი გააკეთა იმ ხანებში გათავისუფლებულ ოდესაში. მერე ყმაწვილს მოეჩვენა, რომ ნამდვილი ვაჟკაცობა თუ გინდა გამოიჩინო, მთების ამფეთქებლის პროფესიას უნდა მოკიდო ხელი. ბათუმიდან იგი მაღალმთიანი გზის გაყვანის სამუშაოებზე მიდის. კიდევ გავიდა ხანი, და გივიმ მოსკოვში ამოჰყო თავი საავტომობილო გზის სამუშაოებზე.

1950 წლის დეკემბერში, როცა ეს სამუშაოები მთავრდებოდა, რადიოთი გამოცხადდა მთავრობის გადაწყვეტილება ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის დაჩქარების შესახებ. გივიმ ახლა იქითკენ მიაშურა.

როგორც კი იგი „ბეტონის სახელმწიფოში" მოხვდა, გადაწყვიტა აუცილებლად ყველაზე მთავარ და ყველაზე ძნელ სამუშაოსთვის მოეკიდა ხელი: და აი იგი დადგა მართვის პულტთან, ბეტონის დიდ ქარხანაში. ეს მოხდა მშენებლობის უფროსთან ღირსსახსოვარი საუბრის ცოტა ხნის შემდეგ — 1951 წლის იანვარში. ამ დროს მთელი ქარხანა დღეში 500 კუბმეტრ ბეტონს იძლეოდა. მარტში გამომუშავება 3000 კუბმეტრამდე ავიდა. და მაინც ცოტა იყო. ძალიან ცოტა. ამხანაგ სტალინისადმი ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლების წერილში ოპერატორებმა თავისი ერთი სტრიქონიც ჩასწერეს:

— პირობას ვიძლევით, დღეში 6000 კუბმეტრი ბეტონი გამოვიმუშაოთ.

მაშინ კომკავშირელთა ერთ-ერთ კრებაზე გივიმ განაცხადა:

— იმდენ ბეტონს მივცემთ მშენებლებს, რამდენიც დასჭირდებათ.

მეორე დღეს სიხარულიძის ეს სიტყვები წითელ ტილოზე აკიაფდა, ქარხნის თავზე.

გივი თავის სამუშაო ადგილიდან ხედავდა სწორედ ამ ტილოს ქვეშ ჩამწკრივებულ ავტომანქანებსა და მოტოსაზიდარებს, — ისინი ბეტონს ელოდებოდნენ.

ყოველ ნახევარ საათში სადისპეტჩეროდან რეკავდნენ:

— უჩქარე, სიხარულიძე! ბეტონს ველოდებით, ბეტონი გვაყოვნებს...

და აი მაშინ იყო, გივიმ რეკორდი რომ დაამყარა, — რეკორდი თითქოს ყოვლად შეუძლებელი, — განახორციელა ბეტონის გამომუშავების ახალი მეთოდი...

ავტომანქანების მწკრივი თანდათან შემცირდა, ხოლო საღამოთი აღარც ერთი მანქანა აღარ ჩანდა. ბეტონი კი მოდიოდა და მოდიოდა. ერთ ცვლაში სიხარულიძემ გამოუშვა 1200 კუბმეტრი ბეტონი, და ამით სექციის საპროექტო სიმძლავრეს ერთნახევარჯერ გადააჭარბა.

მალე მშენებლობის ყველა რაიონში — ციმლადან სტალინგრადამდე — კომუნისტების ინიციატივით მოეწყო ოპერატორების, ზეინკლების, ელექტრიკებისა და სხვა სპეციალობათა მუშების სპეციალური კურსები. ყველგან ეცნობოდნენ გ. სიხარულიძის მეთოდს, იზიარებდნენ მის გამოცდილებას. მაგრამ სიხარულიძის რეკორდი ვერავინ დაფარა. თვითონ მან კი დეკემბრის ერთ დღეს, როცა ავადმყოფი ამხანაგი შეცვალა, პულტთან ორი ცვლა დაჰყო და გამოუშვა 2470 კუბმეტრი მაღალხარისხოვანი ბეტონი.

27 დეკემბერს ადგილობრივმა გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო ამ ამბავის აღწერას. „გივი სიხარულიძე — ჩვენი სიამაყეა" — ასეთი მეტყველი სათაურით გამოქვეყნდა წერილი.

გივის ეძინა, როცა საერთო საცხოვრებელში გაზეთის ეს ნომერი მოიტანეს.

იგი გააღვიძეს. გივიმ იკითხა:

— კაზიევის შესახებ სწერია?

— სწერია.

— სტოგას შესახებ?

— რა თქმა უნდა.

— მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

აზერბაიჯანელი კოლმეურნე მიხრალი კაზიევი და მოლდაველი ჭაბუკი თედორე სტოგა — გ. სიხარულიძის მოწაფეები იყვნენ. გივის სხვაც ბევრი ჰყავდა მოწაფე, მაგრამ ესენი ყველაზე „მძიმე" მოწაფეები აღმოჩნდნენ. მათ რუსულიც კი არ იცოდნენ. გივიმ ასწავლა მათ რუსული, მერე ოპერატორებადაც გამოზარდა.

ციმლიანსკის ზღვაზე მუშაობა რომ დამთავრდა, გივი სიხარულიძე, მიხრალი კაზიევი, თედორე სტოგა თავიანთ პარტორგ ნიკოლოზ პეტროვთან ერთად გაემგზავრენ შუა ვოლგაზე, ჟიგულში, რომ ხუთწლედის დასასრულს კუიბიშევის ჰიდროელსადგურის სინათლე აკაშკაშდეს.

მშვიდობით, ციმლა!

გამარჯობა, ვოლგა!

ი. მუხაძე

გივი სიხარულიძე მართვის პულტთან





პარტიის XIX ყრილობის დელეგატი კ. ილურიძე მოუთხრობს ამხანაგებს ყრილობის შედეგებზე.

ფოტო ი. მღებრიშვილის

ნ. ჩაჩავა

# 1973 წლის ანგარიშში

ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნის სახელოვანი მჭედელი კოტე ილურიძე კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ამ დიდმა სახალხო ნდობამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა რკინის ჭედვის ოსტატი. იგი ვერ ისვენებდა ერთ ადგილზე, თვალწინ ედგა საოცნებო წუთები, როდესაც ახლოს დაინახავდა უსაყვარლეს ადამიანს, რომლის მზრუნველობით მას, უბრალო საბჭოთა მოქალაქეს, ახლა მოწინავეთა რიგებში ახსენებენ, ქვეყნის საქმეებს ეკითხებიან, ცხოვრების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას სთხოვენ.

კოტე ილურიძე, გუშინდელი სოფლის მჭედელი, ახლა საქართველოს ღირსეულ ადამიანებთან ერთად წარდგება ქართველი ხალხის სახელით დიდი ბელადის წინაშე. რამდენი სიხარული და ამავე დროს რა დიდი პასუხისმგებლობაა ამ ნდობაში.

იგი გაასკეცებული ენერგიით მუშაობს. თითქო დევკაცის ძალა ჩაუდგა მკლავებში, თითქო ახალგაზრდობის ჯანი დაუბრუნდა, ისე ატრიალებს გავარვარებულ რკინას, სჭედს ვაგონისა თუ ორთქლმავლისათვის საჭირო დეტალებს.

ამხანაგები აღფრთოვანებულნი შესცქერიან კოტეს. მასთან საუბარში ხშირად ჩაურთავენ ხოლმე: „რა ბედნიერი კაცი ხარ, კოტე, ახლოს ნახავ საყვარელ სტალინს. რომ შეიძლებოდეს, ჩვენც შენთან ვიყოთ იმ დროს!“

ილურიძე სიტყვაძვირი კაცია. მართლაცდა რა უნდა ეპასუხნა მას ამხანაგებისათვის ამ სამართლიან ნატვრაზე. ოსტატი საერთოდ ნაკლებად ლაპარაკობს. მეტყველი კი მისი შრომაა. ყოველდღიურად რამდენიმე დღის ნორმას ასრულებს. იგი ხომ 1973 წლის ანგარიშში მუშაობს. და არა მარტო ილურიძემ გაუსწრო დროს, ამ ქარხნის მრავალმა მუშამ შორს მოიტოვა დღევანდელი დღე. აი, თუნდაც, ილია ჭუმბურიძე. იგი გეგმას 350%-ით ასრულებს. 30 სხვადასხვა დეტალს ამზადებს. ამათგან 15 დეტალს ჩქარი ჭრის საშუალებით აკეთებს. ვაგონების შესასვლელი კარების სახელურები, ჰაერის გამწმენდი ვენტილატორები, ორთქლმავლის სიჩქარის მარეგულირებელი ხრახნილი და მრავალი სხვა, ჭუმბურიძის დაზგაზე კეთდება. მატარებელში მოგზაურობის დროს, თქვენ თვალნათლივ ხედავთ მის ნახელავს. 1946 წლიდან დღემდე, რაღაც ექვსიოდე წლის განმავლობაში, მას ოცდაერთი წლის გეგმა აქვს შესრულებული. მიმდინარე წლის 10 თვეში კი 3 წლის ნორმა ჩააბარა სახელმწიფოს.

ასევე დაუღალავად მუშაობს მექვაბე იოსებ მაჩაიძე. იგი 1934 წელს მოვიდა ამ სახელოვან ქარხანაში. მეოთხე სტალინურ ხუთწლედში 10 წლის ნორმა შევასრულეო—მითხრა მან. ახალ ხუთწლედში კი უკვე ოთხი წლის ნორმა აქვს შესრულებული.

რამდენი ერთი ჩამოთვალოს კაცმა. ამ ქარხნის ასეული მუშა, მთელი კოლექტივი, იბრძვის ხუთწლედების გადაჭარბებით შესასრულებლად. აქ ყოველი მუშა უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს ქარხნის სახელოვანი ტრადიციების წინაშე, იმ დიდი ადამიანის წინაშე, რომლის სახელსაც ეს ქარხანა ღირსეულად ატარებს.

ამხანაგი მიხეილ კალინინი ასე ამბობდა ამ ტრადიციების შესახებ:

„ამ სახელოვან ტრადიციებს წმინდად უნდა იცავდეს და განაგრძობდეს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, და, განსაკუთრებით, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობა. მათში, ამ ტრადიციებში, არის რაღაც განსაკუთრებული, რომელიც შეადგენს უდიდეს უპირატესობას ჩვენი ქვეყნის სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების რევოლუციური მუშების ტრადიციებთან შედარებით. ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებს ლენინურად, ბოლშევიკურად ზრდიდა, აწრთობდა და რაზმავდა ამხანაგი სტალინი. ეს, ამხანაგებო, პატარა საქმე როდია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა გაიარეს რევოლუციური ბრძოლის კლასიკური სკოლა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ხელმძღვანელობით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამხანაგ სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ ეწოდება სტალინი, რომ მას აქვს განსაკუთრებული თვისებები პოლიტიკური ბელადისა, რომელსაც შესწევს უნარი თვით უძნელეს პირობებში ფეხზე დააყენოს, აღზარდოს, გამოსჭედოს და დარაზმოს რევოლუციურ მებრძოლთა მრავალრიცხოვანი კადრები, აღაფრთოვანოს ისინი და გაუძღვეს მათ გარკვეული მიმართულებით. თავისი ეს საოცარი ოსტატობა მან პირველად გამოიჩინა მაშინ, როდესაც მუშაობდა აქ, თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა შორის. აი რა ისტორიული უპირატესობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ—რა უდიდესი ისტორიული სიკეთე აქვთ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებს და აი რატომ ატარებს ეს ქარხანა დიდი სტალინის სახელს“.

ამ ქარხნის ყოველმა მუშამ იცის ეს. კოტე ილურიძესაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა ამ ტრადიციის მიმართ. ახლა უფრო გრძნობს ამ დიდ პასუხისმგებლობას ოსტატი, როცა იგი მოსკოვისაკენ გასამგზავრებლად გამზადებულა.

კოტემ ერთხელ კიდევ დაათვალიერა ქარხანასთან არსებული გამოფენა, სადაც ასახულია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობა კავკასიაში. მას თვალწინ წარმოუდგა მისი წინაპრების დუხჭირი პირობები, მათი ბრძოლა ამ პირობების გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა მომავალი თაობისათვის უკეთესი მერმისის შესაქმნელად. აი პირველი დემონსტრაციის სურათები, პროკლამაციების ასლები, რომლებშიც უხსნიდნენ მუშებს მდგომარეობის ვითარებას და მოუწოდებდნენ მათ დარაზმული ბრძოლისაკენ, არსებული პირობების შესაცვლელად. აგერ მასალები ამ ქარხნის მუშათა მონაწილეობის შესახებ რევოლუციის გარიჟრაჟის დასაჩქარებლად. და იგი შეჩერდა დიდი სტალინის მადლობის სიტყვებზე, რომელიც მან 1926 წელს წარმოთქვა.

ილურიძეს ბევრჯერ წაუკითხავს ეს ამონაწერი ბელადის სიტყვიდან, რომელშიც დიდი სტალინი გულწრფელ ამხანაგურ მადლობას უხდის თბილისის მუშებს, თავის პირველ მასწავლებლებს.

***

მატარებელს ასწრებდა მისი ოცნება. მიეჩქარებოდა, უფრო ადრე უნდოდა ჩასვლა მოსკოვში. „მთელი ღამე არ მძინებია 4 ოქტომბერს. ყრილობის გახსნის დღეს წუთები საათებად მეჩვენებოდნენ, საათები—გაუთავებელ დროდ. გაცილებით ადრე მივედი კრემლში. ყრილობა 7 საათზე იხსნებოდა, მე კი ხუთის ნახევარზე იქ ვიყავი. მეგონა ადრე რომ მივალ, უფრო ჩქარა ვნახავ-მეთქი ჩემთვის საყვარელ ადამიანს“. უამბობდა კოტე ილურიძე თავის ამხანაგებს.

„როგორც იქნა 7 საათიც შესრულდა. თითქო ყველამ ერთბაშად დახედა საათს და დარბაზი დადუმდა. გამოჩნდა, ის ვისაც ასე დაუფარავი მღელვარებით შეჰხაროდა მთელი დარბაზი. სიჩუმე ერთი წუთით თითქო გაღრმავდა. ეს სიხარულის წუთიერი შეჩერება იყო, მხოლოდ წუთიერი. თითქოს სიხარულს ვერ მოეძებნა ფორმა ამ დიდი აღტაცებისათვის, შემდეგ კი რა შეაჩერებდა ადამიანების აღტაცებას. მთელი დარბაზი ქუხდა. სხვადასხვა ხალხთა შვილები თავიანთ ენაზე შესძახოდნენ დიდებასა და დღეგრძელობას უდიდეს ადამიანს.

კიდევ უფრო დიდი იყო ჩვენი აღტაცება, როცა ბელადმა წარმოთქვა სიტყვა.

იგი ისე სადად, ისე დინჯად და ამავე დროს დიდის დამაჯერებლობით ლაპარაკობდა, რომ ყველასათვის ნათელი იყო მისი ნათქვამი. მან გზა გაუნათა კაპიტალისტურ ქვეყნებში მომუშავე კომუნისტებს. მისმა სიტყვამ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენელთა გამოსვლები.

მსოფლიოს ხალხთა წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ თავიანთ ენებზე. მაგრამ ჩვენთვის გასაგები იყო მათი ნათქვამი, მათი ფიქრი და ოცნება.

ეს ყრილობა ჩვენი გამარჯვებების და დიდი მომავლის დამადასტურებელი იყო. ის გადაიქცა ხალხთა ძმობის, ხალხთა მეგობრობის, მსოფლიოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის ყრილობად.“

ასე ამბობდა ყრილობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ამხანაგი კოტე ილურიძე.

იგი ლაპარაკობდა აღელვებით, სიამოვნებას გვრიდა შთაბეჭდილებათა გახსენება. ეტყობოდა, რომ მას კიდევ მეტის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გამოენახა შესაფერი სიტყვები მოზღვავებულ შთაბეჭდილებათა გადმოსაცემად.

# აქ იჭედებოდა გამარჯვება



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ავლაბრის არალეგალურმა ბოლშევიკურმა სტამბამ, რომელიც ამხანაგი სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა 1903 წლის ნოემბერში, უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის სახელოვან ისტორიაში. იგი იყო ყველაზე უფრო მძლავრი, კარგად კონსპირირებული სტამბა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა სტალინური გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა" და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", მრავალი პროკლამაცია, რომელთა უმრავლესობა ამხანაგი სტალინის მიერ იყო დაწერილი.

„სტალინი იყო ორგანიზატორი და ინიციატორი თითქმის ყველა ბოლშევიკური გამოცემისა კავკასიაში. არალეგალური წიგნების, გაზეთების, ბროშურების, პროკლამაციების გამოცემას მან მეფის რუსეთის პირობებში უმაგალითო გაქანება მისცა'' (ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიიდან, გვ. 24).

ამხანაგი ლენინი 1905 წ. გაზეთ „პროლეტარში" მხურვალედ მიესალმა კავკასიის ბოლშევიკებს.

ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა რესტავრირებული იქნა 1937 წელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამავე წლის 22 აგვისტოს მოხდა მისი საზეიმო გახსნა.

ბოლშევიკური იატაკქვეშეთის ეს შესანიშნავი ისტორიული ძეგლი დღესაც უდიდეს როლს ასრულებს მასების ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდისა და საბჭოთა პატრიოტიზმის შეგნების განმტკიცების საქმეში. ეს სტამბა უსაზღვრო ინტერესს იწვევს მნახველებში.

გარდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა, აქ ხშირად ნახავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების დელეგაციებს. ხშირად მოდიან კაპიტალისტური ქვეყნების: საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, ავსტრალიის, ლათინური ამერიკის, ალჟირის დელეგაციებიც.

ეს სტამბა მნახველებს თვალნათლივ მოუთხრობს იმ სახელოვან ბრძოლებზე, რომელთაც ეწეოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით, ცარიზმის დასამხობად და სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

1937 წლის 22 აგვისტოდან დღემდე სტამბა 1.250.000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ გულწრფელ სტრიქონებს, რომლებშიაც მშრომელები დიდ მადლობას უძღვნიან პარტიასა და ხელისუფლებას ამ უდიდესი ისტორიული ძეგლის აღდგენისათვის.

გამოჩენილი ჩინელი მწერალი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი დინ ლინი და დრამატურგი ცაო იუი ამაღელვებელ სტრიქონებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნში:

„ჩვენ ბედნიერები ვართ იმის გამო, რომ ვინახულეთ ყველაზე უფრო წმინდა ადგილი — ავლაბრის სტამბა. ჩვენ გვიყვარხართ თქვენ, ამხანაგო სტალინ! თქვენ ჩვენთვის ძვირფასი ხართ. თქვენ ხართ ჩვენი ბედნიერება!''.

იტალიის კომუნისტური პარტიის მოღვაწე მერკანდინო დელეგაციის სახელით წერს: ,,იტალიის დელეგაციას, რომელიც ახლა საბჭოთა კავშირში იმყოფება, წილად ხვდა დიდი პატივი — დაეთვალიერებინა ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა, რომელიც შექმნილი იყო მუშათა კლასის ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენთვის, იტალიელებისთვის, ეს სტამბა გაკვეთილი იყო წარსულ ბრძოლებში, იგი გაკვეთილი იქნება მომავალ ბრძოლებშიც. ამ სტამბის არსებობამ ჩვენ გაგვამხნევა ახლანდელ ბრძოლებში თავისუფლებისა და მშვიდობისათვის, — ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც მივყავართ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ მთელ მსოფლიოში''.

დიდია ავლაბრის სტამბის მნიშვნელობა. მასში დაბეჭდილმა გაზეთებმა, ბროშურებმა, წიგნებმა, პროკლამაციებმა, ხელი შეუწყვეს რევოლუციური იდეების გავრცელებას ხალხში, მშრომელების დარაზმვას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ. ახლა ეს ძეგლი ხელს უწყობს მასებს, ღრმად შეისწავლონ ბოლშევიკური პარტიის ისტორია, უფრო ღრმად გაიმსჭვალონ სამშობლოს სიყვარულით, უფრო ენერგიულად იბრძოლონ კომუნიზმის ასაშენებლად.

ს. თურნავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ვეფხვაძე — ი. სტალინის გადასახლება ბათუმიდან 1903 წელს

# ქართული ხელოვნების საგანძური

## შ. ამირანაშვილი

იმ ისტორიულ შენობაში, სადაც 1894-99 წლების განმავლობაში სწავლობდა დიდი სტალინი, 1952 წ. 21 დეკემბერს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა გახსნა თავისი მხატვრული ფონდების გამოფენა.

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების თანახმად, ისტორიული შენობა, რომელიც დაკავშირებულია დიდი ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობასთან, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა. აღნიშნული მუზეუმი დაარსდა 1943 წ. დიდი ბელადის ერთგული თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას ინიციატივით. მუზეუმის მხატვრული ფონდების გასაოცარი სიმდიდრე, ისტორიული მნიშვნელობა და მრავალი ექსპონატის უნიკალობა, მას საბჭოთა კავშირის ცენტრალური მუზეუმების საპატიო მწკრივში აყენებს.

მნახველი აქ გაეცნობა საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებშიაც მხატვრული ოსტატობით და ღრმა იდეური შინაარსით აღბეჭდილია დიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის სურათები. მუზეუმის დიდ დარბაზში გამართულია თემატიკური გამოფენა: დიდი ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი სახვით ხელოვნებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. ნიკოლაძის მიერ მარმარილოში გამოკვეთილი ახალგაზრდა სტალინის პორტრეტი „დიადი ჭაბუკი“, ა. ვეფხვაძის დიდი ტილო „სტალინის გადასახლება ბათუმიდან“, ვ. შერპილოვის მონუმენტური კომპოზიცია „ი. ბ. სტალინი კრეისერ მოლოტოვზე“, ახალგაზრდა მხატვრების: ა. ვეფხვაძის, გ. გაბიტაშვილის, კ. მახარაძისა და გ. თოთიბაძის მიერ შესრულებული მონუმენტური სურათი „მსოფლიოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის“ და სხვ. უკანასკნელი სურათი მხატვრული ოსტატობით და ღრმა იდეური შინაარსით თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას დათმობილი აქვს რამდენიმე დარბაზი. აქ წარმოდგენილია ქართული ხელოვნების ყველა დარგები: ქანდაკება, მხატვრობა, გრაფიკა და წიგნის ილუსტრაცია. აღნიშნული მასალა გამოფენილია ისტორიული თანამიმდევრობის დაცვით იმნაირად, რომ თვალსაჩინო გახდეს ქართული საბჭოთა ხელოვნების რეალისტური გზა.

ქართული საბჭოთა ხელოვნება განუყრელად უკავშირდება ჩვენი ხალხის მხატვრულ მემკვიდრეობას და მის საუკეთესო ტრადიციებს ანვითარებს. მნახველის ყურადღებას მოაჯადოებს გულწრფელობითა და თბილი გრძნობით შესრულებული უ. ჯაფარიძის სურათები რაჭის ცხოვრებიდან (სიყრმის მეგობრები, წყარო და სხვ.) უ. ჯაფარიძეს ეკუთვნის აგრეთვე ამხანაგ ბერიას ორი პორტრეტი, რომლებშიაც ოსტატობით არის გადმოცემული დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის სახე.

მნახველის ყურადღებას იპყრობს ქართველი პორტრეტისტის ქ. მაღალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტების მთელი სერია, სადაც სახის ფსიქოლოგიური დახასიათება და მხატვრული დამუშავება მაღალ დონეზეა. ასეთია ი. ნიკოლაძის, ე. ახვლედიანის, შ. დადიანის, ს. ზაქარიაძის პორტრეტები. ყურადღებას იპყრობს გ. ჯაშის მიერ შესრულებული პორტრეტების სერიაც. ოსტატობით გამოირჩევა ახალგაზრდა მხატვრის ა. ბანძელაძის მიერ შესრულებული პოეტ გ. ტაბიძის პორტრეტი.

ქართული პეიზაჟი გამოფენაზე საკმაოდ სრული სახითაა წარმოდგენილი. გამოფენილია ა. ციმაკურიძის რამდენიმე ტილო, სადაც მხატვრული გემოვნებითაა ასახული ბორჯომის ხეობის მომხიბლავი პეიზაჟები. თავისებური სილამაზით და მხატვრული გემოვნებით ხასიათდება ქართლისა და კახეთის ბუნების სურათები, შესრულებული ე. ახვლედიანის მიერ. რეალისტური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი დ. კაკაბაძის უკანასკნელი ნამუშევრები—„ელევატორი ფოთში“, „სამთო სამუშაოები“, სადაც ნათლად ჩანს, რომ მხატვარმა დასძლია ფორმალისტური ტრადიციები და დაეუფლა ბუნების ასახვის თანამედროვე საბჭოთა მხატვრულ მეთოდს. ინტიმური განწყობილებითაა აღბეჭდილი ქართული ბუნების სურათები შ. მამალაძის შემოქმედებაში.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქანდაკებას. მუზეუმში სრულად არის წარმოდგენილი ქართული ქანდაკების ფუძემდებლის ი. ნიკოლაძის შემოქმედება: „ჩრდილოეთელი ქალიშვილი“, „მწუხარება და ნუგეში“, „სალომეა“, „ქარი“, „ამბორი“, მონუმენტი ილია ჭავჭავაძის საფლავზე (ასლი), „ილია ჭავჭავაძე“, „პროფ. მ. მელიქიშვილი“ და სხვ. დიდი მოქანდაკის შემოქმედებას აგვირგვინებს ჩახრუხაძის პორტრეტი, რომელიც წარმოადგენს სახელოვანი ოსტატის უკანასკნელ სიტყვას და საბჭოთა ხელოვნების უდიდეს მიღწევას.

ქართული ქანდაკების სიამაყეს წარმოადგენს ვ. თოფურიძის მიერ შესრულებული ალეგორიული ფიგურა ქალისა „გამარჯვება“, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ დარბაზში.

მხატვრული სიძლიერით გამოირჩევა პორტრეტული ქანდაკებანი, შესრულებული ნ. კანდელაკის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარშალ ტოლბუხინის, ა. ხორავას, ნ. მუსხელიშვილის ქანდაკებანი. პორტრეტული მსგავსებით და მხატვრული გამოსახულებით გამოირჩევა მ. თოიძის ბიუსტი (ბრინჯაო), გამოძერწილი კ. მერაბიშვილის მიერ. მაღალი ოსტატობა ახასიათებს თ. ასათიანის, ზ. კრაწაშვილის და ე. კაკაბაძის მიერ შესრულებულ პორტრეტულ ქანდაკებებს.

ქართული საბჭოთა გრაფიკა გამოფენაზე საკმაოდ სრული სახით არის

წარმოდგენილი. ყურადღებას იპყრობს მაღალი ოსტატობით და თემატიკური შინაარსის სიმძაფრით დავ. ქუთათელაძის ნაწარმოებნი, რომლებიც მიძღვნილია დიდი ბელადის ცხოვრებისადმი. დიდი გემოვნებით არის შესრულებული ი. გაბაშვილის ილუსტრაციები ი. ჭავჭავაძის თხზულებისათვის „კაცია ადამიანი?“ მომხიბლავია ს. მაისაშვილის მინიატურები; მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული მ. მღებრიშვილის მინიატურები ჩინეთის გმირი ხალხის ცხოვრებიდან. მონუმენტურ შთაბეჭდილებას სტოვებენ ს. ქობულაძის სურათები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მცირე ზომის არიან.

ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ გამოხატავენ ა. ქუთათელაძის და პ. ბლიოტკინის დიდი ტილოები კავკასიის დაცვის თემაზე. ირ. თოიძის სურათი „სახალხო შურისმაძიებელნი“ და თ. აბაკელიას ქანდაკება „შურს ვიძიებთ“ (ბრინჯაო).

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას მტკიცე საფუძველი შეუქმნეს ქართული რეალისტური მხატვრობის დიდმა ოსტატებმა, რომელთა ნამუშევრებს გამოფენაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. აქ გამოფენილია მ. თოიძის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები: მონუმენტური სურათი „მცხეთობა“, შესანიშნავი პორტრეტები — დედისა, მოხუცისა, „დედა და ბავშვები“ და სხვ. ყურადღებას იპყრობს დიდი ტილო „მრეცხავი ქალი“ და ნატურიდან შესრულებული ეტიუდების სერია.

გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი ქართველი მხატვრის გ. გაბაშვილის სურათები: „სამი მოქალაქე“, „დღეობა“, „განთიადზე“, „ბალჩა“, „მძინარე ხევსური“, „თავადის პორტრეტი“, „სამარყანდის სურათები“ და სხვ. გ. გაბაშვილის შემოქმედება წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს ახალგაზრდა მხატვრებისათვის.

გ. გაბაშვილის შემოქმედების გაშლას და გაღრმავებას სათანადო ნიადაგი შეუმზადა რ. გველესიანის და ა. ბერიძის შემოქმედებამ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. მრევლიშვილის შემოქმედება, რომელმაც ახალი თვალით დაინახა საქართველოს სინამდვილე, ქართველი ხალხის გულისტკივილი და ქართველი გლეხის ცხოვრება ასახა შესანიშნავ სურათებში („დაბალი ღობე“, „კალოზე“, „სოფლის კანცელარიასთან“ და სხვ.).

გამოფენაზე მნახველი გაეცნობა ქართული მხატვრული კულტურის მემკვიდრეობას, მეხუთე საუკუნიდან დღემდე. ძველი ქართული ხელოვნება აქ წარმოდგენილია ბრწყინვალე ნიმუშებით, რომელთა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა შორდება საქართველოს ფარგლებს. მნახველის თვალს ხიბლავს შესანიშნავი ძეგლები ქართული ხუროთმოძღვრებისა, მოზაიკური და ფრესკული მხატვრობისა, დეკორატიული ჩუქურთმის შეუდარებელი ნიმუშები ქვაზე და ხეზე, ქართული რელიეფური პლასტიკის გენიალური ნაწარმოებნი, ხელსაქმის ნიმუშები და სხვ. ბოლნისის ტაძრის სვეტის თავები, რელიეფური სტელები, წრომის მოზაიკის ფრაგმენტები, მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმშენებელთა გამოსახულებები; წებელდის, ატენის, საფარის, ხოვლეს, ურთხვის კანკელების რელიეფები და დეკორი; ბაგრატის ტაძრის მონუმენტური სვეტის თავები; გელათის მოზაიკა; იფრასის, ახტალის, ვარძიის, ყინწვისის და უბისის ფრესკები თავისი მხატვრული ღირსებით და შემოქმედებითი სიძლიერით მეტყველებენ ქართული კულტურის სიმდიდრეზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამავე განყოფილებაში მოთავსებულ სეიფს, სადაც დაცულია ქართული ჭედური ხელოვნების შეუდარებელი ნიმუშები, მინანქრების მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კოლექცია და სხვადასხვა დარგის მცირე ხელოვნების ექსპონატები. აქ გამოფენილია დიდი ქართველი ოსტატების მხატვრული შემოქმედება, რომელთა შორის გამოირჩევა ასათ მომქმედის, იოანე მონისძის, ბექა და ბეშქენ ოპიზართა უკვდავი ნაწარმოებნი. ქართული ტიხრული მინანქრის ნიმუშები მხატვრული ღირსებით და ფერების შეხამებით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიზანტიური მინანქრები. ამჟამად სავსებით გამორკვეულია, რომ ტიხრული მინანქარი ყოველგვარი უცხო გავლენების გარეშე საქართველოში იყო შემოღებული. მისი დამზადების საიდუმლოება, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნიდან დაიკარგა, მუზეუმში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად ქიმიკოს ი. ტარუაშვილის მიერ არის აღდგენილი. მან დაამზადა მეათე საუკუნის ქართული ტიხრული მინანქრის პირები და ამავე წესით გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი, რომელიც ამჟამად გამოფენილია მოსკოვში, დიდი ბელადისადმი მიძღვნილ საჩუქართა შორის.

მნახველი გაეცნობა მუზეუმში რუსეთის ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთაც დათმობილი აქვს ოთხი დიდი და ერთი მცირე დარბაზი. აქ წარმოდგენილია რუსული ხელოვნების XII-XIV-XVII სს. ნიმუშები ფრესკული მხატვრობისა და ხატწერის დარგში. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია ისეთი ძეგლების მოხატულობის ნიმუშები, რომლებიც განადგურებულია გერმანელ ფაშისტების მიერ, სამამულო ომში. გამოფენაზე კარგად არის წარმოდგენილი მე-18 ს. რუსული პორტრეტული ხელოვნება; ლევიცკი, ანტროპოლოვი, როკოტოვი, ბოროვიკოვსკი, არგუნოვი და სხვ. გამოჩენილი დიდი ოსტატები იზიდავენ მნახველის ყურადღებას. გამოფენის ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი რუსული რეალისტური მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენლებს. მნახველის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება მხატვრების კრამსკოის, შიშკინის, ა. ვასნეცოვის, ბოგდანოვ-ბელსკის, კ. მაკოვსკის, სეროვის, სურიკოვის, რეპინის და სხვათა შესანიშნავი ნამუშევრები.

დასავლეთ ევროპის ხელოვნების განყოფილებაში გამოფენილია ევროპული ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშები, დაწყებული მე-15 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე. მნახველი აქ გაეცნობა იტალიურ, ჰოლანდიურ, ესპანურ და ფრანგული სკოლების წარმომადგენლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამაკაცის ორი პორტრეტი რემბრანდტისა, დიდი პეიზაჟი სალვატორ-როზასი, ფ. ვუვერმანის, რიუსდალის და ლ. კრანახის სურათები.

აღმოსავლეთ ქვეყნების ხელოვნების განყოფილებაში წარმოდგენილია ახალი და ძველი ჩინეთის მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. სტალინის და მაო ძე-დუნის პორტრეტები შესრულებულია აბრეშუმის ძაფებით, გასაოცარი ოსტატობით. ყურადღებას იპყრობს XIV-XV ს.ს. ჩინური ფაიფურის ნიმუშები, ადრინდელი ხანის ბრინჯაოს ვაზები, განსაკუთრებით სპილოს ძვალზე შესრულებული მცირე ხელოვნების ნიმუშები და სხვ. აქვე წარმოდგენილია ტიბეტის ქანდაკებისა და მხატვრობის ცალკეული ნიმუშები.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ირანული ხელოვნების ნიმუშებს. აქ გამოფენილია მოჭიქული კერამიკის XIII-XIX ს. გასაოცარი ნიმუშები. სრული სახით წარმოდგენილია შაჰ-აბაზ პირველის სასახლის ალი-ყაფუს ფრესკული მხატვრობის ნიმუშები, რომლებიც გადმოღებულია დედნიდან მ. მღებრიშვილის მიერ. ირანულ მინიატურებს (XVI-XIXს.) გამოფენაზე დათმობილი აქვს სათანადო ადგილი. კედლებს ამშვენებს დაზგური მხატვრობის ნიმუშები (XVIII-XIX), ძვირფასი ქსოვილები და ხალიჩები.

მუზეუმის კოლექტივი ალტაცებულია იმით, რომ მას წილად ხვდა დაიცვას და მეცნიერულად შეისწავლოს ქართველი ხალხის მხატვრული კულტურა.



ი. რეპინი
უცნობი ქალის პორტრეტი.



თ. ასათიანი. შემდულებელი.



ქ. მალალაშვილი. ს. ზაქარიაძის პორტრეტი.

# ახალი მუზეუმის ჭერქვეშ

### უჩა ჯაფარიძე

ქართული სიძველეების, ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ერთად თავის მოყრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოხერხდა.

საბჭოთა კულტურის მშენებლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურის მოწინავე ტრადიციების ათვისებას. ამიტომაც აუცილებელი გახდა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაარსება.

ეს მუზეუმი ლ. პ. ბერიას ინიციატივით არის შექმნილი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ჭერქვეშ სამუდამო მყუდრო სამყოფელი მოიპოვა ხალხის მხატვრული კულტურის ძეგლებმა — უძველესი დროიდან დღემდე. მუზეუმში დროთა განმავლობაში თავს იყრიდა ქართული საბჭოთა მხატვრობის საუკეთესო ქმნილებანი.

იმ მიზნით, რომ ეს ნაწარმოებები მისაწვდომი გამხდარიყო მშრომელთა ფართო მასებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ჩასთვალეს მოეწყოთ ხელოვნების ნიმუშთა მუდმივი ექსპოზიცია. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა ყოფილი სასულიერო სემინარიის რეკონსტრუირებული შენობა. იმ შენობაში, სადაც სწავლობდა მშრომელთა ბრძენი ბელადი, კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, თავმოყრილია საუკეთესო ნაწარმოებნი სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებისა.

დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ საუკეთესო ნაწარმოებთათვის გამოყოფილია მუზეუმის ცენტრალური დარბაზი.

მუზეუმში წარმოდგენილია ძველი ქართული მხატვრული კულტურის საუკეთესო ძეგლები მე-5 საუკ. მე-18 საუკუნემდე (მონუმენტური ფერწერა, მოზაიკა, ჭედური ხელოვნება, მინანქარი, ქარგულობა და სხვ.).

მუზეუმის ექსპოზიციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული მხატვრობის რეალისტური სკოლის წარმომადგენლებს. აქ გამოფენილია ყმა მხატვრების გ. მაისურაძის და სხვ. მიერ შესრულებული პორტრეტები, რომლებიც მე-19 საუკ. პირველი ნახევრის რეალისტური მხატვრობის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

ცალკე დარბაზებში წარმოდგენილია ქართული მხატვრობის რეალისტური სკოლის ოსტატთა: რ. გველესიანის, ალ. ბერიძის, გ. გაბაშვილის, ალ. მრევლიშვილის, ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის, ა. გოგიაშვილის და სხვ. ნაწარმოებები.

ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი გამოფენაზე ქართული საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ქმნილებანი, რაც ნათლად მეტყველებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად. ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების აყვავებაზე. ქართველი საბჭოთა მხატვრები უმღერიან საბჭოთა ხალხის შრომით და საბრძოლო გმირობას, მის ძლევამოსილ მსვლელობას კომუნიზმისაკენ, მშვიდობისათვის ბრძოლას.

ჩვენს მუზეუმს შეუძლია იამაყოს დიდი რუსი მხატვრების ი. რეპინის, ვ. სურიკოვის, ვ. სეროვის, ალ. ივანოვის, შიშკინის, აივაზოვსკის, გეს და სხვათა შესანიშნავი ფერწერითი ტილოებით და ცნობილი რუსი სკულპტორის ანტოკოლსკის შესანიშნავი ქანდაკებებით. ყურადღებას იქცევს თანამედროვე რუსული საბჭოთა ხელოვნების მთელი რიგი ნაწარმოებები.

მუზეუმში წარმოდგენილია დიდი ჩინელი ხალხის ხელოვნების საინტერესო ნიმუშები. ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებულ ნაქარგობაში წარმოსახულია დიდი სტალინისა და მაო ძე-დუნის სახეები.

უცხოელ ოსტატთაგან მუზეუმში გამოფენილია რემბრანდტის ორი ნამუშევარი, რეისდალის პეიზაჟი, კრანახისა, გრიოშისა და სხვათა ტილოები, მთელი კოლექცია ჰოლანდიელი მხატვრების ნატურმორტებისა და პეიზაჟებისა.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის გახსნა წარმოადგენს ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის დღესასწაულს. ამ საგანძურის გახსნა ქართველი ხალხის შემოქმედ ძალებს მისცემს დიდ სტიმულს ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად.

# ქართული გრაფიკის მდიდარი კოლექცია

### გ. გორდეზიანი

გრაფიკულმა ხელოვნებამ, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელმა დარგმა, ჩვენში მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ მოიპოვა არსებობის უფლება. მისი განვითარების გზა და მიზანდასახულობა, რომელიც მხოლოდ წიგნის გარეგნული შემკობით ისაზღვრებოდა,— მკვეთრად შეიცვალა.

საბჭოთა გრაფიკოსებმა, ფერმწერლებთან და მოქანდაკეებთან ერთად, შექმნეს ყველაზე დემოკრატიული, მოწინავე ხელოვნება, რომლის მიზანია საბჭოთა ხალხის სამსახური.

ქართულ საბჭოთა გრაფიკას არ გაუვლია რეპროდუქციული გრავიურის ის გრძელი გზა, რომელიც შემდეგ ფოტომექანიკურმა ტექნიკამ შესცვალა. მიუხედავად ამისა, მუზეუმში წარმოდგენილი ნამუშევრები გრავიორული და გრაფიკული ხელოვნების დასრულებულ სახეს იძლევიან. მათში იგრძნობა მხატვრული შემოქმედების მართალი და დამაჯერებელი ენა.

ასეთი ოსტატობით არის შექმნილი დიდი ბელადის ყრმობისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი სურათები. (მხატვრები დ. ქუთათელაძე, ი. გაბაშვილი, შ. ცხადაძე ვ. კეშელავა, ვლ. ქუთათელაძე, დ. გაბაშვილი, აპ. ქუთათელაძე); სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობისა და სოციალისტური შრომის ამსახავი ოფორტები და ავტოლითოგრაფიები (მხატვ. ნაცვლიშვილი, ეთ. ანდრონიკაშვილი), წიგნის ილუსტრაციები (მხატვ. ს. კობულაძე, ლ. გუდიაშვილი, ელ. ახვლედიანი), თეთრ-შავი ლაქების განაწილების წესით დამუშავებული პორტრეტები (მხატვ. ვლ. გრიგოლია) და ქართული მინიატურული ხელოვნების კომპოზიციები (მხატვ. ს. მაისაშვილი).

მუზეუმში გამოფენილი გრაფიკული ნამუშევრები აშკარად მეტყველებენ ჩვენი მხატვრების წინსვლაზე.

ა. გორგაძე. მდნობელი.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. ბერიძე
ბიჭი სალამურით



ს. ქობულაძე
საკონცენტრაციო ბანაკისაკენ



ვ. სიდამონ-ერისთავი
უცნობი ქალის
პორტრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5773



ი. ნიკოლაძე
ქარი



ფ. რუბო
ბრძოლა კუშკ[illegible]



ე. ლანსერე
აული

საჯარო ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მშვიდობისათვის

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოფენილია ნიჭიერი ახალგაზრდა ხელოვანების — ირ. ყანდაშვილისა და თ. ღვინიაშვილის ორი გრანდიოზული ვაზა ,,მშვიდობისათვის'', მიძღვნილი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მშვიდობის თემისადმი. აქ მშვიდობის თემა გამოხატულია დეკორატიულ სტილში. მხატვრული კერამიკისა და ქანდაკების შერწყმით, ხანგრძლივი, სერიოზული მუშაობის შედეგად, ახალგაზრდა ავტორებმა შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოები.

კომპოზიციურად ვაზა თავისებურად არის გადაწყვეტილი: იგი დგას საყრდენზე, რომელიც დამუშავებულია რუსული და ქართული ორნამენტებით. ვაზის ცენტრალურ ნაწილზე ბარელიეფებით არის გამოსახული მშრომელთა დიდი ბელადების, ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ხოლო ვაზის დანარჩენი ნაწილი ორნამენტებით არის შევსებული. ცენტრალურ ნაწილს მოსდევს ვაზის ყელი, რომელზედაც აგრეთვე ბარელიეფურად გამოსახულია მშვიდობის დემონსტრაცია, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დემონსტრაციის თვითეული მონაწილე გარკვეული ნაციონალური შტრიხის მატარებელია, მაგრამ ყოველი მათგანის სახეზე, როგორც გამაერთიანებელი მოტივი, ჩანს მათი არსებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცე და მშვიდობის საქმის გამარჯვების დიადი რწმენა, რასაც ჰარმონიულ მთლიანობაში მოჰყავს სურათი. შემდეგ ვაზას შემოვლებული აქვს თავთავების გვირგვინი, რომელიც ავტორების გააზრებით მშვიდობის გვირგვინის სიმბოლოს წარმოადგენს. დასასრულს ვაზას კეტავს სამფიგურიანი სკულპტურული კომპოზიცია. კომპოზიციაში გამოსახულნი არიან სლავი, ზანგი და ჩინელი ქალები, რომელნიც აფრიალებენ მშვიდობის ალამს.

ვაზის თვითეული დეტალი დიდი სიფაქიზით არის დამუშავებული და ავტორების დახვეწილ მხატვრულ გემოვნებაზე მიუთითებს.

ვაზა მოპირკეთებულია ოქროს ხსნარით. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 66 სანტიმეტრია. ქართულ ხელოვნებაში, ასეთი დიდი მოცულობის მხატვრულ-დეკორატიული ვაზა არავის შეუქმნია. იგი გამომწვარია დიმიტროვის სახელობის მოსკოვის ფაიფურის ქარხანაში, და იქვე არის ავტორების მიერ მასალაში შესრულებული.

ირ. ყანდაშვილისა და თ. ღვინიაშვილის ორი წლის გულმოდგინე, ენერგიულმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ახალგაზრდა მოქანდაკეებმა კარგად დასძლიეს მათ წინაშე მდგარი რთული ამოცანა.

ლ. ჟურულაშვილი

ნ. ელიაშვილი

# სუხუმის მშრომელთა სიამაყე

,,დიდმა სტალინმა, რომელიც გადატვირთულია უდიდესი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობით, მონახა დრო იმისათვის, რომ ყურადღება მიექცია ქალაქ სუხუმისათვის, სუხუმის დრამატული თეატრისათვის. ამის შეგნებამ აღავსო ყველა სუხუმელის გული უდიდესი სიხარულის და მშობლიური, მხურვალედ საყვარელი ბელადისადმი ულრმესი მადლიერების გრძნობით.

მოუთხრობენ რა ერთმანეთს დაწყებული მშენებლობის შესახებ, სუხუმელები ამბობენ:

— ჩვენ არ გვქონდა ქალაქ სუხუმის შესაფერი დრამატული თეატრის შენობა, ახლა იგი გვექნება. შეიძლება ითქვას, რომ იგი გვაქვს, ვინაიდან, თუკი სტალინმა თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ასე იქნება.

სუხუმელები ყოველთვის მადლიერებით გაიხსენებენ იმას, რომ თეატრის მშენებლობა დაწყებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით და ხორციელდება მისი პირადი დახმარებით'', — წერდა თავის სტატიაში ამხანაგი ა. ი. მგელაძე.

1952 წლის 20 დეკემბერს ზღაპრულ წალკოტად გადაქცეულ კოპწია ქალაქ სუხუმის მშრომელთა მორიგი ზეიმი გაიმართა. ამ დღისათვის დანიშნული იყო ახლად აშენებული თეატრის გახსნა.

თეატრის მთავარი ფასადი მარადმწვანე რუსთაველის პროსპექტიდან ამაყად გადაჰყურებს შავ ზღვას. თეატრის მთავარი შესასვლელის თაღისებური პორტალი დამშვენებულია ქართული ჩუქურთმებიანი კომბინირებული ქვისა და ლითონის ვიტრაჟით.

განსაკუთრებით მომხიბლავია დარბაზი. არქიტექტორებს დიდი ოსტატობით გამოუყენებიათ ქართული კლასიკური არქიტექტურის საუკეთესო ტრადიციები, რომელნიც შერწყმულია საბჭოთა ხუროთმოძღვრების შესანიშნავ მიღწევებთან. დარბაზის ყოველი კუთხე გხიბლავთ თავისი სილამაზით. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ჭერის კონსტრუქცია.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა მოწყობილი სცენა, რაც საშუალებას მისცემს თეატრს, ურთულესი დადგმები განახორციელოს. სცენა მთლიანად ელექტრომექანიზებულია. სხვადასხვა ფერის 500-ზე მეტი ნათურა, რომელთა რეგულირებაც ხდება ერთდროულად, საშუალებას აძლევს თეატრს წარმტაცი სანახაობა შექმნას.

სუხუმის თეატრის ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებითი ოსტატობა ცნობილია მთელს ჩვენს რესპუბლიკაში. მშვენივრად მოწყობილი ახალი თეატრი აღაფრთოვანებს მათ ახალ-ახალი წარმატებებისათვის.


ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთავარი ინჟინერი

ეს იყო 1930-იან წლებში. თბილისი მაშინ არცთუ ისე ლამაზ ქალაქად გამოიყურებოდა; არ იყო სანაპირო ქუჩა, [redacted], რუსთაველის პროსპექტს არ ამშვენებდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობა, არ იყო ფუნიკულიორის ახალი სადგური და პლატო, ბარათაშვილისა და მელიქიშვილის ქუჩები, რუსთაველის სახელობის კინოთეატრი და სახელმწიფო ცირკი... მართლაც რა უნდა ყოფილიყო თბილისი ამათ გარეშე. მაგრამ მაშინ [redacted] ინიციატივითა და ხელმძღვანელობით უკვე დაწყებული იყო ქალაქის აღმშენებლობის დიადი გეგმა. შენდებოდა თბილისი.



# და მისი თანაშემწე

**ედ. ყიფიანი**

მრავალ ობიექტთა შორის დაწყებული იყო ჩელუსკინელთა ხიდის აგებაც.

ამ ხიდის სააშენებლო უბნებზე ხშირად ნახავდით საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტ-პრაქტიკანტებს. მათ შორის გამოირჩეოდა შავგვრემანი და ცოცხალთვალებიანი ახალგაზრდა, რომელსაც მშენებლები სანდროს ეძახდნენ. იგი ხან მეზეტონეებთან ფუსფუსებდა, ხან მეარმატურეების მუშაობას ადევნებდა თვალს, ხან კი მშენებლობის ინჟინრებს აედევნებოდა და მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვებით. ყველაფრის ცოდნა სურდა.

მუშები მალე შეეჩვივნენ ამ ახალგაზრდას. მათ აწუხებდათ სექტემბრის მოახლოვება, როდესაც სტუდენტებს პრაქტიკა დაუმთავრდებოდათ და სანდროც ინსტიტუტის კედლებს დაუბრუნდებოდა. მაგრამ ეს ყველაზე მეტად თვით სანდროს აწუხებდა. ინსტიტუტში მოსმენილ თეორიულ ლექციებთან შედარებით პრაქტიკული მუშაობა მეტად საინტერესო და მიმზიდველი ნოჩანდა.

საქმის სიყვარულმა თავისი გააკეთა. ჰიდროტექნიკური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა სანდრო მენაბდემ მუშაობა დაიწყო ჩელუსკინელთა ხიდის მშენებლობაზე. საღამოს საათებში იგი ლექციებს ისმენდა ინსტიტუტის აუდიტორიებში.

...ერთ დღეს სანდრო გვიან მოვიდა სამუშაოზე. იგი არავის არ მისალმებია, აქეთ-იქით თვალს აცეცებდა უცხო კაცივით, თითქოს ვიღაცას დაეძებდა, თითქოს პირველად იყო ამ მშენებლობაზე. მუშებს გაუკვირდათ მისი ასეთი მოქცევა, ,,რაღაც ცუდი ამბავიაო'', გაიფიქრეს და სანდროს გარს შემოეხვივნენ.

— ავად ხომ არა ხარ, სანდრო?—ჰკითხა ერთმა მუშამ, მაგრამ ამ შეკითხვისთანავე მიხვდა თავის შეცდომას; მათ წინ სულ უცნობი ადამიანი იდგა.

— მე სანდროს ძმა ვარ—გაიღიმა უცნობმა—ავად გახდა და შესატყობინებლად გამომგზავნა...

— საოცრად გავხართ ერთმანეთს!—წამოიძახეს გაკვირვებულმა მუშებმა.

— ტყუპები ვართ — კვლავ გაეღიმა სანდროს ძმას.

— ერთად ხომ არ სწავლობთ?

— დიახ, ერთ ინსტიტუტში, მაგრამ მე საკონსტრუქტორო სპეციალობაზე ვარ.

— ალბათ სწავლასთან ერთად შენც მუშაობ.

— დიახ, კალიაევის აღმართის მშენებლობაზე...

... ამ წლიდან დაწყებული ინსტიტუტის დამთავრებამდე ძმები სანდრო და გაბო მენაბდეები ქალაქის ერთი მშენებლობიდან მეორეზე გადადიოდნენ. თეორიულ ცოდნასთან ერთად ინჟინრისათვის აუცილებელ პრაქტიკულ გამოცდილებას იძენდნენ. ჩელუსკინის ხიდის მშენებლობიდან სანდრო თბილისის პირველი რიგის სანაპირო ქუჩის მშენებლობაზე გადადის, შემდეგ სამგორის საპროექტო-საგამომკვლევო ბიუროში მუშაობს. გაბოც იცვლის სამუშაო ადგილებს. ერთი საამშენებლო ობიექტიდან მეორეზე გადასვლას ძმები შეგნებულად მიმართავდნენ. მათ უნდოდათ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა დაეგროვებინათ საინჟინრო საქმიანობაში.

1937 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სანდრო მენაბდე მუშაობას იწყებს ,,საქჰიდროელექტროპროექტში'', 1940 წელს კი ამავე დაწესებულებაში შედის გაბო მენაბდეც. ამ წლიდან იწყება ინჟინერი ძმების კოლექტიური მუშაობა. სუხუმჰესი, ხრამჰესი, ჩიტახევჰესი, სამგორის სათავე ნაგებობა და თბილისის წყალსაცავი, აი, ის მთავარი ობიექტები, რომელთა დაპროექტებაში და მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძმებმა.

1950 წელს მათ შეადგინეს პირველი დამოუკიდებელი პროექტი. ეს იყო ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგური...

ახლა სანდროს და გაბოს ყოველდღე შეხვდებით ამ ჰესის მშენებლობაზე. სანდრო ორთაჭალჰესის პროექტის მთავარ ინჟინრად და სექტორის უფროსად მუშაობს, გაბო მისი თანაშემწეა.

,,საქჰიდროელექტოპროექტის'' გრძელ და ფართო ოთახში არაჩვეულებრივი სამუშაო განწყობილებაა; სახაზავ დაფებს გადაყრდნობიან ახალგაზრდა ინჟინრები. ისინი ძმები მენაბდეების ხელმძღვანელობით ნახაზებს უმზადებენ ორთაჭალჰესის მშენებლებს. დამთავრდება თუ არა რომელიმე ნახაზი, იგი უკვე მშენებლობაზეა მიტანილი. სხვანაირად არც შეიძლება, საოცარი ტემპი განავითარეს ორთაჭალჰესის მუშებმა. ხანდახან ისე მოხდება ხოლმე, რომ ისინი უფრო სწრაფად აშენებენ ელსადგურის რომელიმე ნაწილს, ვიდრე ინჟინრები უნდებიან იმავე ნაწილის დახაზვას.

— მათგან უნდა ვისწავლოთ მუშაობა!—ეუბნება სანდრო ახალგაზრდა ინჟინრებს და კარადიდან სამი დიდი ალბომი გადმოაქვს. ეს ალბომები ორთაჭალჰესის მშენებლობის ილუსტრაციული დღიურებია; პირველ ფოტოზე მოჩანს თბილისის ის უბანი, სადაც ახლა ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს, მეორეზე—გეოდეზიური და გეოლოგიური სამუშაოები ამავე უბანზე, მესამეზე—პირველი ბარის დარტყმა, მეოთხეზე — უკვე ნახევრად ამოშენებული ბურჯები და ა. შ.

ოჯახებში ხშირად გვინახავს ალბომები, რომლებშიც პატარა ბავშვის ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი ფოტოებია ჩაკრული. როგორც ზოგიერთი მშობელი სხვადასხვა ასაკში უღებს ხოლმე ფოტოებს თავის შვილს და მერე იმ სურათებიდან ადგენს ალბომს, ასევე შეუდგენიათ სანდრო და გაბო მენაბდეებს ალბომი ორთაჭალჰესზე.

— ახლა ეს ნახაზებიც დაათვალიერეთ! — წარმოთქვა სანდრომ და დაწვრილებით დაიწყო პროექტის ახსნა; თუ როგორ არის ჰესის ბურჯები მოწყობილი, როგორ ჩაიდგმება მათში გენერატორები, როგორ იმუშავებენ ფარები და სხვ.—თუმცა, სჯობს ყველაფერი ადგილზევე ვნახოთ—თქვა მან ბოლოს.

ერთი საათის შემდეგ უკვე მშენებლობაზე ვიყავით. ძმებს შემოუგება მშენებლობის მთავარი ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი და ორთაჭალჰესის პარტორგანიზაციის მდივანი მამია ნემსაძე. მათთან ერთად ვათვალიერებთ მშენებლობას. გზადაგზა მუშები, ბრიგადირები, უბნის უფროსები სათითაოდ ესაუბრებიან ძმებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო. გაბო იქვე, სახელდახელოდ უხაზავს სამუშაო ესკიზს მეარმატურე მუშას, სანდრო რჩევა-დარიგებას აძლევს ბრიგადირს...

მაგონდებოდა თუ როგორ მუშაობდნენ ერთდაიმავე წიგნზე მწერლები—ილფი და პეტროვი, ერთდაიმავე ტილოზე მხატვრები — კუკრინიკსები, ერთდაიმავე პიესაზე — ძმები ტურები, ახლა კი შეიძლება გაგება, თუ როგორ მუშაობდნენ ერთდაიმავე პროექტზე ინჟინრები — ძმები მენაბდეები.

— როგორ გითხრათ, ცარიელ ქაღალდიდან დავიწყეთ და აი, ხომ ხედავთ, ამ მშენებლობით ვამთავრებთ. — ამბობს სანდრო.

— კი მაგრამ, როგორ იყოფდით სამუშაოს?

— ძმებს რა აქვთ გასაყოფი, — ხუმრობს პარტორგანიზაციის მდივანი მამია ნემსაძე.

გასაგებია, ძმები არ დაფიქრებულან ამ საკითხზე, ვერც იტყვიან, თუ როგორ მუშაობდნენ ერთად, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ერთად მუშაობდნენ, როგორც ერთი ადამიანი.

— ხედავ? — ეუბნება გაბო სანდროს — გუშინ ის ამწე არ იყო დადგმული... სწრაფად უმუშავიათ, — მერე მე მომმართავს, — საკმარისია რამდენიმე საათით დასტოვოთ მშენებლობა... მოხვალთ და უკვე რაიმე ახალი დაგხვდებათ, არც არის გასაკვირი, ვერც ერთ ხელსაზიდსა და რონოდას ვერ ნახავთ აქ, ყველაფერი მექანიზებულია. სხვა რომ არა იყოს რა, ეს მეარმატურეები ისე კითხულობენ ნახაზებს თითქოს მოკითხვის ბარათები იყოს, მაღალზე კვალიფიციური მუშებია... აქეთ მობრძანდით, ფეხი არ დაგიცურდეთ....

ჩვენ ხის სახელდახელო კიბეებით ბურჯის ტანში ჩავდიოდით. მაღლიდან ისმოდა მშენებლობის დამახასიათებელი ხმაური. ქვევიდან კი — ტორკრეტ-ბეტონის მანქანის შიშინი.

— ჩვენ უკვე მტკვრის ფსკერზე ვართ, წყლის ზედაპირიდან დაახლოებით ათი მეტრის სიღრმეზე — წარმოთქვა სანდრომ და განაგრძო — აქ დადგამენ გენერატორს, მერე შემწოვი მილის საშუალებით წყალი გადავა ქვედა ბიეფში...

— აქ კი—სიტყვა წაართვა გაბომ—ჩაიდგმება სარემონტო ფარი, ეს ხვრეტი დატოვებულია წყალსაქაჩავისათვის, ეს...

გატაცებით ვუგდებდი ყურს ინჟინერი ძმების ახსნა-განმარტებას და მახსენდებოდა „საქჰიდროელექტროპროექტის“ შენობაში ნანახი პროექტი, რომელიც ალბომებთან ერთად მაჩვენა სანდრომ. ახლა კი თითქოს იმ ნახაზებში დავდიოდით, იმ ნახაზებში ვსაუბრობდით და ვსუნთქავდით. რაღაც იდუმალ, უცნაურ შეგრძნობას იწვევდა იმის გაფიქრება, რომ აქ, სადაც ჩვენ ვიდექით, მალე მტკვრის დაგუბებული წყალი შემოიჭრება, აბრუნებს ტურბინებს და კიდევ უფრო გააკაშკაშებს და გაალამაზებს ჩვენს საყვარელ ქალაქს. ამის გაფიქრება კი უზომო პატივისცემას მაგრძნობინებდა ამ საბჭოთა ინჟინრების მიმართ, რომლებიც ერთად დაიბადნენ, ერთად სწავლობდნენ და ერთად ემსახურებიან სამშობლოს.

# ერთი კალათი მანდარინი

**კაპიტონ რუსიძე** მოთხრობა მხატვარი ალ. ბანძელაძე

საცვლების ამარა, გამხდარი მოხუცი ქალი ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა, კედელთან მივიდა და სანამ ელექტროლილს გადაატრიალებდა, მეორე ტახტზე გულაღმა მწოლიარე ქმარს ერთხელ კიდევ შეეკითხა:

— მაშ არაფერი გტკივა, ზორბეგ?

მოხუცმა თოვლისფერი წარბებით დაჩრდილული თვალები გაახილა, ცოლს უკმაყოფილოდ გახედა და ხმადაბლა, თითქმის თავისთვის წაიდუდუნა:

— არაფერი... დაიძინე, დაიძინე, აიშე!

გაისმა ელექტროლილის ჩხაკუნი, ოთახში ჩამობნელდა. აიშემ ხელის ფათურით მიაგნო საწოლს, ჩაწვა და ფიქრს მისცა თავი.

წელან ზორბეგმა რამდენჯერმე ისე ამოიხვნეშა, რომ მზრუნველ ცოლს გული შიშით გადაელია. რა დაემართა ზორბეგს, ხომ არაფერი აწუხებს?..

აიშეს ქმრის ავადმყოფობისა ეშინოდა. მისი ღრმა ხვნეშა და წრიალი გულს ჟღონებდა, ეგებ ავად არის და ამიტომ წუხსო. ჯეელი რომ იყოს, სხვაა, იოლად მოერევა ავადმყოფობას, მაგრამ ჯეელობა სადღაა, სიზმარივით გაქრა. ზორბეგი უკვე ოთხმოცი წლისაა. სიბერეს არ იმჩნევს. საკოლმეურნეო შრომაშიც მონაწილეობს. საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენებულ ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ბაღსაც არ აკლებს მზრუნველობას. უჯოხოდ დადის, მხრებში ოდნავ კი მოიხარა, მაგრამ წვერს ყოველ მესამე დღეს იპარსავს. ლოყებზე მკრთალი ვარდისფერი კვლავ შერჩენია და თავის ასაკთან შედარებით თხუთმეტი-ოცი წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. სამოცდაორი წელია აიშე მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და ერთხელაც არ უნახავს ლოგინადჩავარდნილი ქმარი. სურდოს, გრიპს აინუნშიაც არ აგდებდა ზორბეგი, მისივე გამოთქმა რომ გავიმეოროთ, ასეთ ავადმყოფობას „ფეხზე იხდიდა“. ასე იყო წინათ, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს, ზორბეგიც ასე თუ ისე, მაინც, მოტეხილია და ავადმყოფობას ერთხელ თუ „წამოუწვა“, საბედისწერო იქნება. რაკი ახლა ავად არ ყოფილა, აიშეს შიში გაუქრა, გულს მოეფონა და მალე ჩაეძინა.

ღია ფანჯარაში ბადრმა მთვარემ შემოანათა და ზორბეგის ლოგინი მკრთალ ოქროსფერ შუქში გახვია. მოხუცმა უხმაუროდ მოინაცვლა გვერდი და თაფლისფერი თვალები მიაპყრო მოსარკულ, ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ნაჭერს, სადაც ქათქათა მთვარე ეკიდა. ირგვლივ დუმილი იყო გამეფებული. ტკბილი ძილით ეძინა სოფელს. რძისფერი ნისლი მოხვეოდა ცვარნამდაფრქვეულ ციტრუსებსა და ჩაის ბუჩქებს. მხოლოდ ხევიდან მოისმოდა მოუსვენარი მდინარის ხმაური.

მარტო იმ ლელეს და მე არ გვძინავსო, გაიფიქრა ძილგამფრთხალმა მოხუცმა და წარბები შეჭყარა. არა, შეიძლება ერთს კიდევ ელვიძოს, სწორედ იმას, ვინც სოფელი გალანძღა. ნეტავ იცოდეს, ვინ არის იგი. მოხუცი ზორბეგი საქვეყნოდ შეარცხვენდა იმ ზნედაცემულს.

მაგრამ მეზობელთაგან ვერავისზე შეჩერდა ეჭვის თვალით. ამ სოფელში ძაღლიც კი არა ჰყავთ კარმიდამოს მცველად; არც დღისით, არც ღამით სახლთა კარ-ფანჯრებს არ კეტავენ, რადგან გაქურდვისა არავის ეშინია. საკოლმეურნეო შრომამ ფეხზე დააყენა ყველა ოჯახი. დოვლათმა აავსო მშრომელთა სახლ-კარი. ჭაობების ნაცვლად პლანტაციები და ბაღები გაშენდა. მდინარეზე ელსადგური აჩახჩახდა და სოფელი ელნათურებით არის გადაკაშკაშებული. ულამაზოდ ჩაცმულ სოფლელს ვერ დაინახავ. ზოგი საკუთარი მსუბუქი მანქანით დასეირნობს. კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ კიდევ უფრო იმატა შრომადღის ძალამ. წელს ზოგიერთი კოლმეურნის ოჯახი იმდენ შემოსავალს მიიღებს, რამდენიც წინათ მთელ სოფელსაც არ გააჩნდა. ყველა მდიდარი გახდა და ვისლა დასჭირდა ერთი კალათი მანდარინის მოპარვა?!

ძილი უფრო გაუტყდა მოხუცს. სათითაოდ გაიხსენა ყველა მეზობელი. ცალკე დასახლებული თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის ოჯახის წევრებსაც კრიტიკულად შეხედა. მაინც ვერც ერთზე ვერ მიიტანა ეჭვი. ნუთუ ტყუილი თქვა თავმჯდომარემ?!

არა, ტყუილს არ იტყოდა თავმჯდომარე და ისიც იმდენ ხალხში. გულუბრყვილო ბალღი ხომ არაა! ზორბეგის თვალწინ წამოიჩიტა და გაიზარდა იგი. უმაღლესი განათლება მიიღო. რამდენიმე წლის წინათ აგრონომად დაუბრუნდა სოფელს. შრომისმოყვარე, თავმდაბალი, საქმის მცოდნე კაცია. ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეებმა ერთხმად აირჩიეს გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. მეორე წელია საქმეს კარგად უძღვება, კოლმეურნეობა უფრო ძლიერი გახდა, არავის უთმობს გარდამავალ წითელ დროშას

შარშან ზეიმით რომ გადმოგვცეს. წელს უკეთესი მაჩვენებლები გვექნება. ჩაის ფოთლის კრეფაში ამინდებმა კი შეგვიშალა ხელი, მაგრამ მაინც ვერ უნდა გვაჯობოს მეზობელმა კოლმეურნეობამ, რომელსაც ვეჯიბრებით... მაგრამ, აფსუს, გეგმაც თუ ვერ შევასრულეთ და ეს ქურდობაც დაგვწამეს, ხომ მოგვეჭრა თავი!

მაინც ვის უნდოდა ის ერთი კალათი მანდარინი, ვის! როგორ თქვა თავმჯდომარემ? ჰო, კრებაზე ყველა საკითხი რომ ამოიწურა, იგი წამოდგა და ასე განაცხადა... ზორბეგს მისი თვითეული სიტყვა ახსოვს. ნემსივით ჩხვლეტს გულში. რა დაავიწყებს?.. ასე განაცხადა: მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემხვდა და მითხრა, ჩვენი კოლმეურნეობების საზღვართან, წყაროს პირას, დატოვებული გვქონდა ერთი კალათი მანდარინი, რაც შემთხვევით დაგვრჩენია და ხვალ უნდა გაგვეგზავნაო; იქ უკანასკნელად თქვენს სოფლელებს ამოუვლიათ და მანდარინი წაუღიათო. მერე გაუცინია და ირონიულად უთქვამს: ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულებაში ასე ქურდობით თუ გინდათ გვაჯობოთ, კალათის წართმევას მაინც რას გვემართლებითო; ამალამვე დაგვიბრუნეთ, თორემ ხვალ რაიკომის მდივანს შევატყობინებო.

შეატყობინებს კიდეც... იგი ჩვენს თავმჯდომარეს არ გავს, აჩქარებული კაცია, ბევრს არ აწონ-დაწონის, რაიონის ხელმძღვანელებს ეტყვის და საქვეყნოდ შეგვირცხვენს კოლმეურნეობას, სოფელს, ხალხს. ერთი კალათი მანდარინი რაა, მაგრამ სულ ერთი არ არის, ნემსს მოიპარავ თუ აქლემს? სადღა გამოვყოთ თავი? როგორ გავახილოთ თვალი? ჩემს ეზოში რაც მანდარინია, სულ ვაჩუქებ, ოღონდ თავს გაგვანებებდეს! ხუმრობა ხომ არაა, კაცური კაცი დაგვერქვა, ნამდვილი ადამიანური ცხოვრება ავაშენეთ, კომუნიზმში შევდივართ და უცბად... ერთი კალათი მანდარინი მოიპარესო! ვაი, სირცხვილო!

უკანასკნელი ორი სიტყვა ზორბეგმა ისე ხმამაღლა წამოიყვირა, რომ აიშე გამოაღვიძა.

— კიდევ არ გძინავს, კაცო?—ჰკითხა განცვიფრებულმა ცოლმა, პასუხს არ დაუცადა, ელნათური ჩართო და ქმარს თავს წაადგა.—რა დაგემართა, ზორბეგ?

მოხუცმა გაჯავრებით წამოიძახა:

— რა დამემართა და, სირცხვილი!

დაფეთებულმა აიშემ უკან დაიხია. რას ამბობს ეს ბერიკაცი, სიზმრის ბურანშია თუ შეირყა, სამარცხვინო რა უნდა დამართოდაო.

— კაცურად მითხარი, ზორბეგ.—შეევედრა შემკრთალი მეუღლე.—გონზე ხომ ხარ?

— არ ვარ გონზე, არა!—უკმეხად მიახალა ზორბეგმა, მაგრამ უცებ გონს მოვიდა, შემკრთალ ცოლს გაუღიმა და წამოდგა.

აიშემ შენიშნა ქმრის სახეზე ღიმილის წამიერი გამოკრთომა. ლოგინის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა და ზორბეგს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— მაინც რა იყო, კაცო, არ ითქმება?

ზორბეგმა მოკლედ უამბო.

— მერედა, შენ რა უნდა ქნა?—ჰკითხა ბოლოს აიშემ.

— რა უნდა ქნაო?—გაწყრა ზორბეგი,—მე ხომ ამ კოლმეურნეობის ერთ-ერთი დამაარსებელი ვარ? მე ხომ გამგეობის წევრი ვარ? მე ხომ კოლმეურნე ვარ?

— მერე?

— მერე კოლმეურნეობა რომ გაილანძღება, გამგეობას თავი მოეჭრება, ყველა კოლმეურნე, მათ შორის მე და შენ რომ შევრცხვებით, კარგია?

— კარგიაო, ვინ თქვა?

— აბა რამე უნდა მოვიფიქროთ.

რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

აიშემ ამოიოხრა და თქვა:

— ეგება იმ ოხერმა უკვე დააბრუნა კალათი.

ქმარმა უცბად მოუჭრა:

— რომ არ დააბრუნოს?

კვლავ ჩაფიქრდნენ.

— იცი რა?—წამოიწყო ზორბეგმა. ჩამყე ეზოში, მომაკრეფინე მანდარინი, ახლავე წავიღებ და იქ დავუგდებ.

აიშემ ხელები გაასავსავა.

— ჩვენს კალათს ხომ იცნობენ? ქურდი შენ ეგონები, თავი მოგვეჭრება.

— ქურდს მერე მაინც ალმოვაჩენთ. სად დაგვემალება?! ის მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი რაიონის ხელმძღვანელობასთან ველარ მოგვჭრის თავს.

— უკეთესი რამე მოვიფიქროთ, კაცო!—შეევედრა გაოგნებული ცოლი.

კარგახანს იფიქრეს, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს.

— კი, კი, ასე აჯობებს!—უფრო თავის დასარწმუნებლად, ვიდრე მეუღლის გასაგონად, წარმოთქვა ზორბეგმა.—მე რომ მომეპარა, იმავე კალათით დავაბრუნებდი. ჩემს კალათს თუ იცნობენ, იტყვიან, ქურდის მაგივრად მოუტანიაო.

— რომ არ თქვან ასე?—შეწუხდა აიშე.

— მაინც ასე ჯობს!—დაბეჯითებით გაიმეორა ზორბეგმა და ჩაცმას შეუდგა.

ერთი თუ ორი საათის შემდეგ ზორბეგმა მხარზე შეიდგა დანამული მანდარინით სავსე, წნული ტკეჩის ხელიანი კალათი და მთვარის შუქით განათებულ ბილიკს აჰყვა ამ სოფლისა და მეზობელი კოლმეურნეობის ბაღების გამყოფ გორაკზე.

ხაცალფეხო ბილიკის გარდიგარდმო ნაძვები და ევკალიპტები ჩამწკრივებულიყვნენ. ალაგ-ალაგ ხეთა ტოტებში ვერ ატანდა მთვარის შუქი და ბერიკაცმა ბევრჯერ წაიფორხილა. თხემზე ასვლისას ფეხიც დაუცურდა და ფერდობზე კალათიანურთ ლამის დაგორდა. გრილი ნიავი ქროდა, საგრძნობლად გრილოდა, მაგრამ ზორბეგი სწრაფად მიარბენინებდა მძიმე კალათს და ოფლით გაიწუწა.

გორაკიდან რომ ჩაივაკა და წყაროს მიუახლოვდა, სადაც კოლმეურნეობათა საზღვარი იგულისხმებოდა, ზორბეგმა დაინახა რამდენიმე ნაბიჯით მის წინ მიმავალი დაბალი, სქელი კაცი. მასაც მანდარინი მიჰქონდა კალათით. ვინ უნდა იყოსო, გაიფიქრა ზორბეგმა, ალბათ, ეგ არის ქურდიო. კალათი ბუჩქებში შემალა, თვითონ ნაძვს ამოეფარა და სქელი კაცის გამობრუნებას დაელოდა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირდა. დაბალმა კაცმა ფრთხილად მიმოიხედა, კალათი ბაღის ჭიშკართან დადო და ბილიკზე ამოირბინა. ზორბეგმა იცნო იგი და გაკვირვებისაგან მუხლები მოეკვეთა. ნეტავ ეს არ დამენახა და მოვმკვდარიყავიო, თავს იწყევლიდა მოხუცი. ნუთუ ამან ჩაიდინა ქურდობა? ეგეც ხომ ზორბეგივით უხუცესი კოლმეურნე და გამგეობის უცვლელი წევრი ალი შაინიძეა! რად დასჭირდა ქურდ-ბაცაცობა ამ დროულ კაცს, რომლის ოჯახი დღეს და გადაღეს, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მოსახლეა! ვაი სირცხვილო!

ზორბეგი ისე გაგულისდა, რომ კინაღამ ყვირილი მორთო — ქურდი დავიჭირეო. მერე თანდათან დაცხრა. მოერიდა ძველისძველი ამხანაგის, სახელგაუტეხელი კაცის გაფუჭებას. მარტო შაინიძის კალათი თუ ნახესო, გაიფიქრა მან, კოლმეურნეობას მაინც მოეჭრება თავი, რადგან ისიც ჩვენი სოფლიდანაა და გამგეობის წევრიაო. ახლა ჩემს კალათს მისი კალათის გვერდით დავდგამ რომ ნამდვილი ქურდი ვერ გამოიცნონ, მერე კი მაინც არ შევარჩენ და ჩვენს კრებაზე გავაშავებო.

კალათი რომ დადგა და გამობრუნდა, ბუჩქებში ზედ ჭიშკართან, მესამე კალათს მოჰკრა თვალი. ახალთახალი კოხტა კალათი იყო. ზორბეგს ხდღაც ხშირად უნახავს იგი. ჰო, ეს კალათი ეკავა ხოლმე მასწავლებელ გულიკოს, როცა იგი მოსწავლეებთან ერთად ჩაის ფოთლის კრეფაში ეხმარებოდა კოლმეურნეობას, ნუთუ მას მოუპარავს ის ოხერი კალათი?

— ვერაფერი გამიგია!—მწყრალად წაიჩურჩულა ზორბეგმა, შინ დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ლამენათევს, დაღლილსა და ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრებით თავბრუდახვეულს მკვდარივით ჩაეძინა.

მეორე დღის საღამოხანს, როცა პლანტაციებიდან და ბაღებიდან დაბრუნებული კოლმეურნეები გამგეობის კანტორის შენობასთან მოგროვდნენ და თავმჯდომარესთან საუბრობდნენ, მთავარი გზიდან გადმოუხვია და მათთან შეჩერდა მანდარინით სავსე კალათებით დატვირთული ტონანახევრიანი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც მეზობელ კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. ახალგაზრდა წითურმა მძღოლმა დამხვდურთ სალამი მისცა და თავმჯდომარეს სიცილით უთხრა:

— თქვენ არაფერ შუაში ყოფილხართ: ჩვენს მებაღეს მიტოვებული კალათი რომ უნახავს, თავის ქოხში აუტანია შესანახად, მერე უცებ ბათუმში წასულა ავადმყოფი შვილის სანახავად და კალათის შესახებ სიტყვის დაბარება დავიწყნია, ისე რომ ყველაფერი ნათელია!

კოლმეურნეები აჩოჩქოლდნენ. თავმჯდომარემ კალათები შეათვალიერა, მანქანაზე ორმოცამდე კალათი ეწყო. ჩანს, ჩემსავით ბევრს უტეხია წუხანდელი ღამეო, კმაყოფილებით გაიფიქრა მან და ხალხს ღიმილით ჰკითხა:

— რა ვუყოთ ახლა, ამხანაგებო, ამ მანდარინს?

მასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომმა ზორბეგმა, რომელიც სიხარულისაგან ღელავდა, კითხვითვე მიუგო:

— მალე ხომ შვიდი ნოემბერია? საოქტომბრო საჩუქრად გავუგზავნოთ მოსკოველებს!—და მანქანას გახედა.

ოქროსფერი მანდარინით სავსე მისი კალათი ყველა კალათს ზემოთ, მასწავლებელ გულიკოს, თავმჯდომარისა და ალი შაინიძის კალათებს შორის იდგა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპტიმისტური ტრაგედია

**ა. ბურთიკაშვილი**

ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლების დღეებში ფრანკისტულ შეთქმულთა წინააღმდეგ, როდესაც თვითეული ქალაქისათვის, ქალაქის თვითეული უბნისათვის ათასობით ადამიანები ეცემოდნენ, რესპუბლიკური ესპანეთის თეატრები, მებრძოლთა გასამხნევებლად, წარმატებით უჩვენებდნენ გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგის ვსევოლოდ ვიშნევსკის პიესას „ოპტიმისტური ტრაგედია."

დიად მოწოდებასავით ჟღერდა პიესის შესავალი:

„გამარჯობა, ახალო თაობავ! ნუ გლოვობთ მებრძოლთა დაღუპვას—ისინი თქვენგან ამას არ მოითხოვენ. სამოქალაქო ომში მეომართა რამდენიმე არმია დაეცა, მაგრამ ამან თქვენი სისხლის ჩქეფა როდი შეაჩერა. სიცოცხლე არა კვდება".

მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ ვ. ვიშნევსკის—მოწინავე საბჭოთა დრამატურგისა და ხელოვანის—ამ პიესას საბჭოთა თეატრების რეპერტუარში ისევ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გოეთეს სახელობის ნაციონალური პრემია დაიმსახურა. ორიგინალურია პიესის სათაური. აქ ერთმანეთშია გადახლართული ორი ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო ცნება: ოპტიმიზმი და ტრაგედია. ასევე ორიგინალური და ახლებურია თვით პიესაც, თავისი ტრაგიკული ფინალით... ისმის გარმონის სევდიანი აკორდების ხმა. ინტერვენტებისაგან განაწამები საბჭოთა კომისარი სიცოცხლეს ეთხოვება... მაგრამ იმარჯვებს ის დიადი საქმე, რომელსაც საბჭოთა პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა — ინტერვენტები უკუქცეულნი არიან. ამაშია სწორედ პიესის ზემოქმედების ძალა, მისი ოპტიმისტური ჟღერადობა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრმაც თავის ახალ დადგმას — (დამდგმელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ალ. თაყაიშვილი)—სწორედ ეს დაუდო საფუძვლად.

სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება (მხატვარი ე. დონცოვა), პიესის რიტმთან შეხმატკბილებული მელოდიური მუსიკა (კომპოზიტორი ო. ბარამიშვილი) და მტკიცედ შედუღებული ერთიანი სათეატრო ანსამბლი ხელს უწყობენ წარმტაცი რეალისტური სპექტაკლის შექმნას, რომელიც ასე გულთბილად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა.

პიესაში მოქმედების დინამიური განვითარებისათვის და ცალკეული სცენების ორგანიულად დასაკავშირებლად, ავტორს შემოჰყავს ორი წამყვანი, რომელთა როლებს დიდი ტემპერამენტით ასრულებენ მსახიობები ნ. ქავორონკოვი და გ. მორენი.

ბალტიის ფლოტის მატროსის ალექსის მეტად საინტერესო როლს დიდი არტისტული გაქანებით ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი პ. ლუსპეკაევი. მან შექმნა საბჭოთა მეთაურის დასამახსოვრებელი სახე, თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ეს როლი მსახიობისაგან შემდეგ დახვეწა-გაღრმავებასა და შესაფერი გრიმის გამონახვას მოითხოვს.





მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ სპექტაკლად მაყურებელს უჩვენა ვ. გაბესკირიას ახალი პიესა „გაზაფხულის დილა".

ერთ-ერთი ქარხნის ცხოვრების ასახვით, მისი ადამიანების სულიერ მისწრაფებათა გადმოცემით, ავტორმა და თეატრის კოლექტივმა (რეჟ. ლ. იოსელიანი) გვიჩვენა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა. აქ ნაჩვენებია, ერთის მხრით, მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული საბჭოთა ადამიანების (მთავარი ბუღალტერი დათიკო — რესპუბლიკის დამსახ. არტისტი ალ. გომელაური, შალვა — რესპ. სახალხო არტისტი პ. კობახიძე), ხოლო მეორეს მხრივ გადაგვარებული ქარხნის ხელმძღვანელის (ლონგინოზი — რესპ. სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი) და მომარაგების განყოფილების უფროსის (რესპ. დამსახ. არტისტი აკ. კვანტალიანი) ურთიერთობა, მათი კონფლიქტი.

ტიპიურია ანარქისტების ჯგუფის წინამძღოლის როლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ზაგორსკი.

დიდი ბუნებრივობით და მხატვრული დამაჯერებლობით ასრულებს ძველი კადრის ოფიცრის, ფლოტის სარდლის როლს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. სმირანინი. მის მიერ წარმოსახული სარდალი არისტოკრატული წრიდან გამოსული გამოცდილი მეზღვაურია და სრულიადაც არ არის რევოლუციის ენთუზიასტი, მაგრამ როგორც მხედართმთავარს, მას ვერ წარმოუდგენია უღალატოს თავის ქვეყანას, ვერ წარმოუდგენია ინტერვენტებს მიემხროს. სმირანინი თითქოს შესისხლხორცებია ამ სახეს და სცენაზე თავისი გმირის სიცოცხლით ცხოვრობს.

როგორც ყოველთვის, ამ სპექტაკლშიაც, თავისებური და კოლორიტულია უკრაინის დამსახურებული არტისტი დ. სლავინი, რომელიც მეზღვაურ სიპლის როლს ასრულებს. ოსტატურად მიგნებული შტრიხებით და გმირის სულიერი მღელვარების მომხიბვლელი ჩვენებით მსახიობმა შესძლო მეზღვაურის დამაჯერებელი სახის შექმნა.

თავისი უშუალობით და მხატვრული სიმართლით გამოირჩევიან კომისარი ქალის როლში უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ი. მაქსიმოვა, ბოცმანის როლში საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი კ. დობჟინსკი და კონტრრევოლუციური ჯარების ოფიცრის როლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კ. მიუფკე. იგივე ითქმის სპექტაკლის სხვა მონაწილეებზეც, რომლებიც სახეთა მრავალფეროვან გალერეას ქმნიან.

„იყავით მხნედ", იძახდნენ მებრძოლნი დაღუპვისას. — ეს ამაღელვებელი სიტყვები, რომლითაც იწყება ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", ლეიტმოტივად გასდევს გრიბოედოვის სახელობის თეატრის ამ ახალ დადგმას, რომელიც თეატრის წინსვლის მაჩვენებელი, ჯანსაღი ოპტიმიზმით აღსავსე სპექტაკლია.

# ბრძოლა ევერესტისათვის

ო. გიგინეიშვილი




ტიბეტისა და ნეპალის საზღვარზე მდებარეობს ჩვენი პლანეტის უდიდესი მთის მასივი — ჰიმალაის ქედი, რაც ქართულად ,,თოვლის სამშობლოს'' ნიშნავს. ამ ქედზე, ზღვის დონედან 8952 მეტრის სიმაღლეზე აღმართულია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჩომოლუნგმა, რომელსაც ინგლისელებმა ევერესტი დაარქვეს — ინგლისელი პოლკოვნიკის ევერესტის პატივსაცემად.

ადამიანმა, მიუხედავად მრავალი ცდისა, ჯერ კიდევ ვერ შესძლო შეედგა ფეხი მის მწვერვალზე.

ევერესტზე ასვლის აზრი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიბადა. ინგლისის იმპერიალიზმისათვის,—რომელმაც დაიპყრო ინდოეთი, თავს მოახვია თავისი გავლენა ნეპალს და მიზნად დაისახა ტიბეტში შეჭრა, — პირველხარისხოვან საკითხად იქცა ჰიმალაის მთაგრეხილით ინდოეთიდან ტიბეტისაკენ მიმავალი გზების ათვისება და იქ მცხოვრები ტომების დამორჩილება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოება და ინგლისის ალპური კლუბი, რომელთა საქმიანობას წარმართავდა ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა. როგორც წესი, ჰიმალაის ქედის მწვერვალებზე ექსპედიციების სათავეში მუდამ ინიშნებოდნენ ის მთამსვლელები, რომლებიც ,,შეთავსებით'' მუშაობდნენ ინგლისის სამხედრო დაზვერვაში. ასეთი იყო, მაგალითად, პოლკოვნიკი იუგჰაიზბენდი, შემდგომში ბრიტანეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა და ალპური კლუბის თავმჯდომარე; ჰოვარდ ბერი, ნორტონი, სომერველი, შიპტონი და სხვ. მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ინგლისი ამზადებდა აგრესიას ტიბეტში, ინგლისის მეფის ნაცვალმა ინდოეთში, ცნობილმა რეაქციონერმა, ლორდმა კერზონმა წინადადება მისცა ინგლისის ალპური კლუბის თავმჯდომარეს დუგლას ფრეშფილდს, მოეწყო ექსპედიცია ევერესტის დასაპყრობად. კერზონი ვარაუდობდა, რომ ამით იგი დააშინებდა ჰიმალაის მთების მკვიდრთ, რომელთა რწმენით ევერესტი უძლიერესი ღმერთი იყო ღმერთთა შორის. ამ მწვერვალის ადგილობრივი სახელწოდება — ,,ჩომოლუნგმაც'' — ღმერთების დედას ნიშნავს. ევერესტზე წარმატებით ასვლის შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ ინგლისელები მათ ღმერთებზე ძლიერნი არიან, ეს კი მორალურად იმოქმედებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ევერესტზე ყოველი ასვლის ცდა, თითქმის უკლებლივ, მთავრდებოდა, არა მარტო უშედეგოდ, არამედ, უმრავლეს შემთხვევაში, კატასტროფითაც. ამავე დროს, ინგლისელები სარგებლობდნენ თავისი პოლიტიკური გავლენით ნეპალსა და ტიბეტში და ხელს უშლიდნენ სხვა ქვეყნის მთამსვლელებს ეცადათ ევერესტზე ასვლა.

1921 წელს მოეწყო პირველი ექსპედიცია ევერესტზე ასასვლელი გზების დასაზვერად, მას მოჰყვა 1922 წელს ევერესტზე ასვლის ცდა. ეს ცდები კვლავ იქნა განმეორებული 1924 და 1933 წლებში. 1935 წელს ისევ მოეწყო ექსპედიცია გზების დასაზვერად, რომელსაც მოჰყვა ასვლის ახალი ცდები 1936 და 1938 წლებში. ყველა ამ ექსპედიციებს შორის უფრო შედეგიანი აღმოჩნდა 1924 წლის ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ნორტონი. ნორტონმა და ექსპედიციის წევრმა სომერველმა მაშინ მიაღწიეს 8572 მეტრის სიმაღლეს, შემდეგ ჟანგბადის ნაკლებობამ აიძულა ისინი უკან გამობრუნებულიყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მწვერვალის იერიში დაიწყეს ამავე ექსპედიციის წევრებმა ირვინმა და მელორმა. სასუნთქავად მათ ბალონებით თან წაიღეს ჟანგბადი. ირვინისა და მელორის ასვლას თვალს ადევნებდნენ 8660 მეტრის სიმაღლემდე, — მანამდე, სანამ მათ ნისლი დაჰფარავდა. როდესაც ნისლი გაიფანტა, ირვინი და მელორი უკვე აღარსად სჩანდნენ. მთამსვლელები ალბათ დაიღუპნენ — სადღაც მწვერვალის მისადგომებთან. შემდეგ უკვე აღარც ერთ ექსპედიციას არ მიუღწევია ასეთი სიმაღლისათვის.

1934 წელს ინგლისელ ვილსონს მოუნდა თავისი სახელის უკვდავყოფა,—გაემგზავრა ევერესტზე ასასვლელად. მას არ უნდოდავინმესთვის გაეზიარებინა ეს დიდება და გადასწყვიტა მარტო ასულიყო მწვერვალზე, — ეს დამახასიათებელია ბურჟუაზიული ალპინიზმისათვის. მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევებში — ვილსონი დაიღუპა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ინგლისელებმა დაიწყეს თხემზე მისასვლელის ძებნა ნეპალის მხრიდან. ამ ახალი გეზის შერჩევაზე გავლენა იქონია აგრეთვე ტიბეტის განთავისუფლებამ იმპერიალიზმის უღლისაგან. 1951 წელს მოეწყო ახალი ექსპედიცია. ექსპედიციის სათავეში დააყენეს შიპტონი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინ იყო ბრიტანეთის გენერალური კონსული კაშგარში (სინცზიანი) და გერმანელ ფაშისტ მთამსვლელებთან ერთად ,,იკვლევდა'' სსრ კავშირის მოსაზღვრე მთიან რაიონებს. ინგლისელები დიდ იმედებს ამყარებდნენ შიპტონის ექსპედიციაზე. გაზეთმა ,,ტაიმსმა'' სპეციალური მოწინავეც კი უძღვნა ამ საკითხს. ამ ექსპედიციას უნდა მოჰყოლოდა ევერესტზე ასვლის ცდა 1952 წელს, მაგრამ შიპტონის ექსპედიციამ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და ინგლისელები იძულებულნი გახდნენ 1952 წელს ევერესტზე ასვლის ცდაზე ხელი აეღოთ.

ინგლისელებმა თავისი სპორტული ღირსების რეაბილიტაციის მიზნით გადასწყვიტეს დაეპყროთ რომელიმე 8000 მეტრზე უფრო მაღალი მწვერვალი და იგივე შიპტონის მეთაურობით, ამ ზაფხულს სცადეს ჰიმალაის ქედზე ჩო-უიოზე (8153 მეტრი) ასვლა დასავლეთის მხრიდან. მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

ამა წლის მარტში ევერესტზე სამხრეთ-დასავლეთის თხემით ასვლა სცადა შვეიცარიელების ექსპედიციამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო შვეიცარიის უძლიერესი მთამსვლელებით. როგორც შვეიცარიის გაზეთები იტყობინებოდნენ, ეს ექსპედიცია ყველა სხვა ექსპედიციებზე უკეთ იყო მომზადებული. ციურიხის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა ამ ექსპედიციისათვის შეიმუშავა ახალი ტიპის ჟანგბადით სასუნთქავი ნიღბები და მსუბუქი ბალონები. მაგრამ ექსპედიცია დაბრუნდა ინდოეთში სამარცხვინო შედეგებით... უდიდესი სიმაღლე, რომელსაც მან მიაღწია, იყო 7200 მეტრი, ე. ი. ექსპედიციამ ვერ შესძლო არა თუ მწვერვალზე ასვლა, არამედ თხემზე გასვლაც კი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეიცარიელი მთამსვლელები, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მთამსვლელებთან შედარებით, ბევრად უფრო ამტანნი და ტექნიკურად მომზადებულნი არიან. ამრიგად, ევერესტის უკანასკნელი ექსპედიციების შედეგების მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ევერესტის დაპყრობის საქმე სულ უფრო და უფრო უკან მიიწევს.

როგორც ჩანს, ბურჟუაზიულ ალპინიზმს არ ძალუძს გადასწყვიტოს თანამედროვე ალპინიზმის უდიდესი პრობლემა — მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ევერესტის დაპყრობა.

ევერესტი კი ელის თავის დამპყრობელს.

## ახალი ჩემპიონები

თავისუფალი ჭიდაობის წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის 136 მონაწილიდან შეჯიბრებას ბოლომდე ოცდაათიოდე მოჭიდავე შერჩა. ესენი უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ, რომლებმაც თავის გამოცდილ მოწინააღმდეგეებს თავს მოახვიეს ორთაბრძოლის თავბრუდამხვევი, შემტევი სტილი და ოლიმპიურ ჩემპიონებსაც კი ბევრი უსიამოვნება მიაყენეს. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვ. გიგიაძემ (უმსუბუქესი წონა), ზედიზედ დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი მამედბეკოვი, რსფსრ-ს ჩემპიონი კაზაროვი და პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. დაძაბულად მიმდინარეობდა ბრძოლა სხვა წონითი კატეგორიებშიც. ნახევრად საშუალო წონაში თავის გუნდს ახალი დამსახურებული გამარჯვება მოუტანა სპორტის ოსტატმა ვ. ბალავაძემ. საქართველოს სპორტსმენთა რიგებს კიდევ ერთი ჩემპიონი შეემატა.



მეშვიდედ მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება და ოქროს მედალი ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ციმაკურიძემ.

გუნდური პირველობა მოიპოვა საქართველოს გუნდმა, რომელმაც აღნიშნულ ჩემპიონატში განსაკუთრებით კარგი მომზადება გვიჩვენა.

სურათზე: ქართველი მოჭიდავეების დაბრუნება ქ. ბაქოდან, სადაც მიმდინარეობდა საკავშირო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# ახალგაზრდა მთამსვლელები

1923 წლის ზაფხული იდგა.

პირქუში მყინვარწვერის კალთებზე კავკასიონისათვის მანამდე უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა. ამ ადგილებში კანტი-კუნტად გამოჩენილი ალპინისტების ნაცვლად, მყინვარწვერს ახალგაზრდა ქართული უნივერსიტეტის მთამსვლელთა მთელი ჯგუფი შეესია. ახალგაზრდა მთამსვლელებმა გასტეხეს კავკასიონის სიჯიუტე და მარადთოვლიან მწვერვალზე ავიდნენ.

მყინვარწვერზე ამ მასობრივი ასვლით, რომელსაც სახელოვანი ქართველი ალპინისტი, პროფ. გ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ალპინიზმს. მას შემდევ არცთუ ისე დიდმა ხანმა განვლო. კავკასიონის მწვერვალები ზედიზედ ნებდებოდნენ ქართველ ალპინისტებს, რომელთა შორის მრავლად იყვნენ უნივერსიტეტის ალპინისტურ-ტურისტულ სექციაში გამოწრთობილი სტუდენტი მთამსვლელები.

ახალგაზრდა ალპინისტები წმინდად ინახავენ გამოჩენილი საბჭოთა ალპინისტების გ. ნიკოლაძის, ა. ჯაფარიძის და სხვათა ხსოვნას, მისდევენ და აღრმავებენ მასობრივი ალპინიზმის იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელიც პირველად აქ დაინერგა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდობა მასობრივად მისდევს ალპინიზმს — მამაცთა და შეუდრეკელთა სპორტს.

სტუდენტი მთამსვლელების სიმტკიცემ და გამარჯვების სურვილმა წელს კიდევ ახალი ფურცლები ჩასწერეს საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში.

კარგად მოწყობილი ალპიური ბანაკების და დაცვის საიმედო ორგანიზაციის წყალობით, სტუდენტმა მთამსვლელებმა ზაფხულის განმავლობაში ყაზბეგის რაიონში სამი მასობრივი ასვლა მოაწყვეს, რომელშიც სამასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

უნივერსიტეტი სამართლიანად ამაყობს მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდა მთამსვლელების დ. ყანდარელის, ა. ქავთარაძის, ვ. კვაჭაძის, რ. ნათაძის, გ. თიკანაძის, ი. ბაქრაძის, ლ. წითლანაძის, გ. ყიფიანის და სხვათა სახელებით.

კავკასიონის მწვერვალებზე მოპოვებული გამარჯვებები მათ პამირზე მომავალი ასვლებისათვის აღაფრთოვანებს.



ფოტოები გადაღებულია მწვერვალებზე ასვლების დროს ახალგაზრდა მთამსვლელ გ. თიკანაძის მიერ.





საჯარო ბიბლიოთეკა

# წიგნები და ავტორები

## ი. გრიშაშვილი — „ლიტერატურული ნარკვევები“

ყოველ ახალ წიგნს ქართველი მკითხველი სიყვარულით იღებს ხოლმე ხელში, «სულიერ საზრდოს გაამდიდრებს, ფიქრსა და ოცნებას დააპურებს მადლიან ქართულით დაწერილი ჯანსაღი და ძარღვიანი წიგნიო».

ამ მოთხოვნებს კარგად აკმაყოფილებს პოეტი-აკადემიკოსის, იოსებ გრიშაშვილის წიგნი «ლიტერატურული ნარკვევები». პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ




წიგნი საინტერესოდ არის დაწერილი, იგი გამთბარია საგნის სიყვარულით, უშუალობით და უბრალოებით. ავტორი ტრიბუნაზე კი არ დგას, აუდიტორიას კი არ მიმართავს, არამედ მკითხველთან ერთად ზის, მკითხველს ესაუბრება ქართული კულტურის ისტორიაზე მის ბედიღბალზე.

კრებული იხსნება წერილით «ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა», რომელიც წარმოადგენს დიდი პოეტის ცხოვრების თანამიმდევრულად დალაგებულსა და სრულყოფილ ისტორიას. ყურადღება გამახვილებულია ჭავჭავაძის დროინდელი საქართველოს, მაშინდელი ქართველი საზოგადოების რაობისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. მკითხველს საშუალება ეძლევა, ავტორის ესა თუ ის მოსაზრება ღრმად და საფუძვლიანად დამტკიცებულად ჩასთვალოს, იქვე წარმოდგენილი არქივული მასალების დახმარებით.

ავტორი სამართლიანად ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე მარტო სიყვარულის მომღერალი არ ყოფილა, რომ მას ქვეყნის ყოველი ტკივილი და გაჭირვება აწუხებდა და თავის მადლიან სიტყვას წარმართავდა კიდეც ამ მიმართულებით. ასე რომ არ ყოფილიყო, ჭავჭავაძეს არც მაშინ და არც დღეს ამდენი მკითხველი არ ეყოლებოდა და არც ასეთი დაფასებული იქნებოდა მამულიშვილებისაგან. ყურადსაღებია მსჯელობა ალექსანდრე ჭავჭავაძის შეხედულებათა შესახებ პოეზიაში. მკვლევარი პოეტის პრინციპად «მგრძნობელობას» აცხადებს და მართლაც ეს აზრი აქსიომატური ხასიათისაა.

ბარათაშვილის «ცისა ფერს» რომ დამოუკიდებელი ნაწარმოებია და წმინდა რომანტიზმის პრინციპით დაწერილი, კიდევ ერთხელ ასაბუთებს და ამტკიცებს მკვლევარი. იგი ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია ქართულ რომანტიკულ ლექსებში. ბარათაშვილსა და მის ამ ლექსს დიდი ამაგი დასდო პოეტმა პასტერნაკმა, რომელმაც გემოვნებითა და ბარათაშვილის სულიერი სამყაროს ცოდნით თარგმნა იგი და რუს მკითხველს თითქმის ნამდვილი ბარათაშვილი აგრძნობინა.

გულისყურითა და მკვლევარისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით არის დაწერილი თავი «ქართველ და მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობანი».

ასევე გემოვნებითა და თეატრალური ხელოვნების ღრმა ცოდნითაა დაწერილი ყველა თავი თეატრისა და დრამატურგიის შესახებ. ავტორი კარგად ხატავს წარსულში ქართული თეატრალური ხელოვნების ჩამორჩენის მიზეზებს.

ქართული თეატრისადმი ავტორის წრფელი სიყვარული იქიდანაც ჩანს, რომ მგოსანი «მოკარნახის ნიქარიდან» ეტრფოდა, შესციცინებდა და თავისი უშუალო განცდითა და აზრით ამხნევებდა სცენის კორიფეებს.

ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ნ. გაბუნია, ვ. გუნია და სხვა მრავალი, ავტორის დახასიათებით, მკითხველის წარმოდგენაში სდგებიან თავიანთი ნამდვილი სახით და თავისებური მსახიობური სპეციფიკით.

განუზომელია ის ღვაწლი, რომელიც ქართულ თეატრს ილიამ და ვანო მაჩაბელმა დასდეს. მკითხველი გულისყურით შლის მათი მოღვაწეობის და ცხოვრების შესახებ დაწერილ ფურცლებს. რამდენ რამეს ახალს გაიგებს მკითხველი ივანე მაჩაბლისა და ილიას შესახებ, როცა ამ წიგნს გაეცნობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილი «ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი». ივანე მაჩაბელი ჭეშმარიტად ახალი ქართული სასცენო მეტყველების მშობელი მამაა. ივანე მაჩაბლის შემდეგ არავის დაუჯერებენ, თითქოს თარგმნილი ნაწარმოები არ შეიძლება იყოს ორიგინალის ღირსებისა, რომ თითქოს ზოგიერთი ავტორის ცუდად თარგმნა რაღაც მიზეზების გამო დასაშვები და საპატიო იყოს. არა, ასეთი ზღაპრები მოკვდა მაჩაბლის შემდეგ და სწორედ მათი სიკვდილით მოიპოვა უკვდავება შექსპირის ერთ-ერთმა უბრწყინვალესმა მთარგმნელმა.

შიო მღვიმელის, სიმონ გუგუნავას, დიმიტრი ერისთავის, სილო გოშაძის, გიორგი დვანიძის შესახებ დაწერილი ნარკვევისათვის ავტორს «დავიწყებულნი და და გამორჩენილნი» დაურქმევია, და სწორედ ამ ნარკვევის გამო უკვე აღარ არიან ისინი დავიწყებულნი, უკვე აღარ არიან გამორჩენილნი.

იოსებ გრიშაშვილი მოგონებათა უზადო ოსტატია. აქ ჩანს ის ყველაზე მეტად, როგორც ადამიანი და პიროვნება.

წიგნში შეტანილია ნარკვევი «თბილისის ისტორიისათვის», რაც მკითხველს საშუალებას აძლევს გაიცნოს გუშინდელი ჩვენი ქალაქი, დაუპირისპიროს იგი დღევანდელს, მზიური საბჭოთა რესპუბლიკის წუთობით მზარდ დედაქალაქს.

**ნ. ჩხეიძე**

## გრ. ჩიქოვანი — „სიცოცხლის გზა“.

სიცოცხლის გზა—ასე უწოდა თავის მოთხრობების კრებულს გრიგოლ ჩიქოვანმა, და ეს სათაური, არსებითად მართლაც გამოხატავს წიგნში მოთავსებულ ნაწარმოებებთა ძირითად იდეას. ეს მოთხრობები უმთავრესად აგვისახავენ საბჭოთა ადამიანების კეთილშობილ თვისებებს, მათს ბედნიერ ცხოვრებას, მათს ბრძოლას კიდევ და კიდევ უფრო უკეთესი მომავლისათვის.

ახალგაზრდა ბელეტრისტმა მკითხველის ყურადღება თავიდანვე უდაო მხატვრული ნიჭით მიიქცია. დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი მისი პირველი მოთხრობები გამოირჩევიან ცხოვრებისა და ადამიანის ცოდნით, გამართული სიუჟეტით, ნათელი სტილით და ლაღი თხრობით. ეს მოთხრობები გვიზიდავენ მათში გამოხატული სიცოცხლის სიყვარულით, საყოველთაო ბედნიერებისაკენ თამამი და წრფელი სწრაფვით, აგრეთვე მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით.

გრ. ჩიქოვანი, როგორც მხატვარი, „ენაწყლიანი“ არაა, მაგრამ ძუნწი ფერებითა და სულ რამდენიმე შტრიხით ხშირად იგი ახერხებს ისე დახატოს თავისი გმირი, რომ ნაწარმოების პირველი წაკითხვისთანავე მისი სახე დიდი ხნის ნაცნობივით აღიბეჭდოს თქვენს ცნობიერებაში.

მოთხრობა „ფართო გზაზე“, რომლითაც კრებული იხსნება, გვიზიდავს თანამედროვეობის ღრმა სიყვარულით. მწერალი დამაჯერებლად გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანის ბედნიერსა და ხალისიან ცხოვრებას. საყურადღებო ისაა, რომ აქ დახატული უბრალო ადამიანებიც კი დიდი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი, შრომა მათთვის მოთხოვნილების საგნად გადაქცეულა.

მოთხრობის მთავარი გმირია ქვრივი მარიამი, რომელსაც ქმარი მენშევიკებთან ბრძოლაში დაეღუპა. სამი ჩვილი ბავშვის დედამ მრავალი გაჭირვება გადაიტანა, ქვრივის შავები მისი მძიმე მდგომარეობის სიმბოლიური გამოხატულებაც იყო, მაგრამ მარიამი გულს მაინც არ იტეხდა. იგი თითქოს გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაშიც დადგებოდა ზეიმის დრო. და მართლაც საბჭოთა წყობილებამ, მთელ ხალხთან ერთად, მარიამსაც მოუტანა სიხარული და ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. ეს უბრალო ადამიანი ახლა საზოგადოებრივი ყურადღების ღირსი გახდა, ახლა იგი კოლმეურნეობაში ერთ-ერთ მოწინავე ბრიგადირად



ითვლება. ასეთი დაფასებით წახალისებული მარიამი თავდავიწყებით შრომობს და მუდამ მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძლება უკეთესად მოაწესრიგოს შრომა ბრიგადაში, მეტი და უკეთესი მოსავალი მოიყვანოს. მან კარგად იცის, რომ სახელმწიფოსა და ხალხის სიმდიდრე მის კეთილდღეობასაც ნიშნავს, რომ ახლა ადამიანისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთისაგან განუყოფელია.

მოთხრობაში მიმზიდველად არის დახატული მარიამის წასვლა მეზობელი რაიონის კოლმეურნეობაში თავისი ყოფილი მოწაფის მაიას გამოცდილების შესასწავლად. აქ გხიბლავთ ადამიანის გულწრფელობა: მოთხრობაში ხედავთ თუ უბრალო ადამიანს ჩვენს ქვეყანაში როგორ შეუძლია პატიოსანი შრომით გმირი გახდეს და საყოველთაო სიყვარული დაიმსახუროს, ხანში შესულ მარიამში ერთხელაც კი არ წამოიჭრება თავმოყვარეობის საკითხი. მას ახარებს თავისი მოწაფის წარმატება და გულწრფელად და სიყვარულით სწავლობს მის გამოცდილებას. ეს ის ღირსშესანიშნავი თვისებაა, რაც საბჭოთა ადამიანში სოციალისტურმა სინამდვილემ გამოიმუშავა.

მოთხრობაში საინტერესოდაა დახატული რაიკომის ახალი მდივნის ლევანის უბრალოება, მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. მწერალს იგი დაპირისპირებული ჰყავს ძველ მდივანთან, რომელიც სულ მუდამ კაბინეტში იყო ჩაკეტილი. ხალხისაგან მოწყვეტა იწვევს ხელმძღვანელის გადაგვარებას, ორიენტაციისა და თაოსნობის უნარის დაკარგვას. ლევანი კი ნამდვილი ლენინურ-სტალინური ტიპის ხელმძღვანელია, რომელიც განუწყვეტლად ხალხში დატრიალებს, უშუალოდ ეცნობა ყოველი წარმატებისა და ნაკლის მიზეზებს, ხალხისაგან სწავლობს და ხალხს მეთაურობს.

მოთხრობის ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი მთავარი გმირები შრომაში იზრდებიან, შრომის პროცესში ხდება მათი ხასიათის ფორმირება და საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი კეთილშობილური თვისებების გამოვლინება.

მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ მწერალი ერთნაირ დაკვირვებას ვერ ამჟღავნებს მთავარისა და მეორე რიგის ამბების, პერსონაჟების ხატვის დროს. მისი უშუალო შთაბეჭდილებები მუდამ არაა ტიპიური, ზოგადდამახასიათებელი. ავტორი დამაჯერებლობას ვერ აღწევს მარიამისა და პლა-

ტონის მეზობელ კოლმეურნეობაში ჩასვლის და იქ პლატონისა და ნესტორის შეხვედრის სურათის დახატვაში.

მოთხრობა „მეგობრები“ გამთბარია წრფელი ინტიმური, სატრფიალო განცდებითა და საბჭოთა მეომრის საგმირო თავგადასავლით. სამამულო ომის თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებებიდან უთუოდ გამოირჩევა გრ. ჩიქოვანის „მეორედ შეხვედრა“. ამ, არცთუ ისე დიდი მოცულობის მოთხრობაში ავტორმა შესძლო მკაფიოდ გამოეკვეთა თავისი გმირების ხასიათები, დაეხატა ზურგისა და ფრონტის მართალი სურათები. მწერალმა ამ მოთხრობაში შექმნა ფოსტალიონი მუიას მეტად კოლორიტული სახე. ცოცხალი, ხალისიანი ფერები, რომელსაც მწერალი იყენებს, დამამახსოვრებელსა და მიმზიდველს ხდის მუიას. სოფლის ეს უბრალო ფოსტალიონი თავიდანვე იმდენად გხიბლავთ თავისი სულიერი სიფაქიზით, რომ როცა ფრონტზე შემთხვევით მოხვედრილი, იგი ვაჟკაცობას გამოიჩენს, სრულიად ბუნებრივად გეჩვენებათ. მუია თითქმის ხანში შესულია, იგი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ და აი ახლა, დიდი სამამულო ომის ფრონტზე მეორედ შეხვდა მათ. საბჭოთა მეომრებს, რომელთა შორის მისი შვილობილიც იყო, მუიამ საჩუქრები ჩაუტანა და შემთხვევით ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. ამ დროს გერმანელები შეტევაზე გადადიოდნენ, და აი, აქ მუიამ ერთხელ კიდევ სცადა ანგარიში გაესწორებინა სიცოცხლისა და ბედნიერების მტრებისათვის.

განცდათა უშუალობით არის დაწერილი „დაბრუნება“. შეიძლება ერთი შეხედვით ამ მოთხრობაში ზოგი რამ ხელოვნურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერ ამას მკითხველი ყურადღებას არ აქცევს, მას იზიდავს და აინტერესებს ჩვენი ადამიანების ის სულიერი სიფაქიზე და კეთილშობილება, რომლის გადმოცემითაც ეს მოთხრობა გამოირჩევა.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „სიცოცხლის გზა“. მართალია, ამ მოთხრობის მეორე ნაწილი სქემატურია, მაგრამ პირველ ნაწილში ძალიან მართლად არის დახატული ჯოტოსა და შავაიას სახეები, მათი წრფელი სასიყვარულო განცდები.

თანამედროვეობის ამსახველ მოთხრობებში გრ. ჩიქოვანი კარგად ხედავს და გრძნობს ახალს, მისი გმირები თავიანთი მისწრაფებებით ნამდვილი თანამედროვე ადამიანები არიან, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მწერლის მხატვრული ალღო ყოველთვის შეუცდომელი არაა. არის შემთხვევა, როცა თანამედროვე ადამიანებს მიაწერს ისეთ თვისებებს, რაც მათთვის უცხოა. შავაია და ჯოტო განათლებული და საუკეთესო, მოწინავე ახალგაზრდები არიან, მათ არა მარტო სატრფიალო განცდები აქვთ წრფელი, არამედ გამოირჩევიან, როგორც საბჭოთა პატრიოტებიც. ამიტომ სრულიად გაუმართლებელია, როცა ჯოტო დედის მიერ ბავშვობაში დაკიდებულ ცრუმორწმუნეობის ნიშანს — ავგაროზს ბოლომდე სიყვარულით ატარებს.

მართალია, გმირი ამას აკეთებს დედის ხსოვნის პატივსაცემად, და არა ცრუმორწმუნეობით, მაგრამ ახალგაზრდა კაცისაგან მაინც გაუმართლებელია ავგაროზის ტარება.

მოთხრობა „კაცი გამოქვაბულში“ გადატვირთულია მისტიკური ამბებით. იგი სრულიად არ ეგუება მწერლის რეალისტურ სტილს. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე სცენარი „ოქროს ველი“.

სარეცენზიო კრებული ნათლად მეტყველებს ავტორის შემოქმედებითს უნარზე. გ. ჩიქოვანს მეტის გაკეთება შეუძლია მხატვრულ პროზაში, თუ იგი უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

**ე. ქარელიშვილი**



ცაიშის საერთო ხედი — ფოტო გ. ბარტიშევსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანმრთელობის წყარო

**სოლომონ ცაიშვილი**

ცაიშის მინერალური წყალი კლდიდან გადმომქუხარე ჩანჩქერს მოგაგონებთ, რომლის ძალა ვეება დოლაბს აბრუნებს. არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ეს წყალი აღმოაჩინეს და უკვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი. საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარმოებული ლაბორატორიული ანალიზით დადგენილია წყლის ქიმიური შემადგენლობა. ამ წყალში მეტნაკლებად მოცემულია ექვსი სხვადასხვა ნივთიერება. წყლის ტემპერატურა უდრის 82 გრადუსს. დადგენილია აგრეთვე, რომ იგი ზოგიერთი მონაცემით უახლოვდება წყალტუბოს სამკურნალო წყლებს, მასავით გამჭვირვალეა, ანკარა და ცისფერი. ქიმიური შემადგენლობითა და თერმულობით კი ის ძირითადად განსხვავდება მედიცინისათვის დღემდე ცნობილ სამკურნალო მინერალურ წყლებისაგან. თუ გავითვალისწინებთ ცაიშის წყლების ქიმიურ შემადგენლობასა და მის მაღალ ტემპერატურას, იგი უნიკალურ მოვლენად ჩაითვლება.

აღსანიშნავია აგრეთვე წყაროს 25 ატმოსფეროიანი წნევა, რის გამო შადრევანი 250-300 მეტრის სიმაღლეს აღწევს.

შადრევნების მნიშვნელობა რესპუბლიკისა და საკავშირო მთავრობის ყურადღების სფეროში მოექცა. წყაროებისა და მათი მიდამოების შესასწავლად სამი სხვადასხვა კომისია მუშაობდა. ამ კომისიებში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სწავლულები და გამოჩენილი ადამიანები.

კომისიამ დაადასტურა ამ მინერალური ცხელი წყაროების სამკურნალო თვისებები და მისი კეთილმოწყობისათვის ვრცელი პროექტი შეადგინა. პროექტში გათვალისწინებულია ბალნეოლოგიურ ნაგებობათა ყველა სახეობა, კლინიკები, სამკურნალო და დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, გზები, ხიდები და სხვა კეთილმოწყობილობანი, რაც საკავშირო მნიშვნელობის კურორტისათვის აუცილებელია.

ცაიშის მინერალური წყლებით ჩატარებულმა პრაქტიკულმა მკურნალობამ გამოავლინა, რომ იგი კარგი საშუალებაა დღემდე მოურჩენლად მიჩნეულ კანის ზოგ დაავადებათა წინააღმდეგ. დაკვირვებების მიხედვით ის არჩენს კუნთებისა და სახსრების რევმატიული ტკივილებით, თვალის ლორწოვანი გარსის, პირის ღრუსა და ღრძილების ანთებით დაავადებულებს. კურნავს აგრეთვე გულის, სისხლის ძარღვთა, ნერვიული და ძვალსახსართა სისტემების დაავადებებს.

იყო შემთხვევები, რომ სახსრების რევმატიული მწვავე ანთებით, ქრონიკული რევმატიზმით და ნევრასტენიით, პოლიარტრიტით, ბარძაყების და მუხლის სახსრების შესივებით, რევმატიული პალპაციით და სხვა მსგავსი დაავადებებით შეპყრობილი ავადმყოფები, რომელთა უმეტესობა უჯოხოდ ვერ დადიოდა, ცაიშის მინერალური ცხელი წყაროების 12-30 აბაზანის მიღების შემდეგ სავსებით განიკურნენ, უჯოხოდ და უყავარჯნოდ გაემგზავრნენ შინ. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ავადმყოფს მრავალი წლების მანძილზე აწუხებდა ეს ავადმყოფობა, მრავალი მკურნალობა ჰქონდა ჩატარებული, მაგრამ ამაოდ. როგორც აღვნიშნეთ, წყლის ტემპერატურა 82 გრადუსს უდრის. საერთო საცავში წყლის შენელებას, ე. ი. 40-36 გრადუსამდე ჩამოყვანას, ზამთარში 4 საათი სჭირდება, ზაფხულში კი მთელი ღამე. საერთოდ ეს წყალი მძიმედ ცივდება. ესეც ერთ-ერთი მისი თვისებათაგანია.

სოფელ ცაიშს საკმაოდ ლამაზი მდებარეობა აქვს. მას მთაც აქვს, სერებიცა და ბარიც. მისი მიდამოები ზამთარ-ზაფხულ ამწვანებულია დაფნისა და ბზის ტყეებით, სუბტროპიკული და ციტრუსოვანი მცენარეების ბუჩქებით. სოფელი ზუგდიდიდან 10 კილომეტრით არის დაშორებული, სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, და მდებარეობს სუხუმ-ცხაკაიას გზატკეცილისა და შავი ზღვის რკინიგზის შესაყარზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას გადმოსცქერის მთა ურთა, რომლის კალთებზე ცხოვრობს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ამ სერებიდან მოჩანს კავკასიის ქედი, მისი მწვერვალები, სვანეთის მთებიდან შავ ზღვამდე გადაშლილი კოლხეთის დაბლობის წარმტაცი პანორამა და თვით ზღვის სანაპიროს მომხიბლავი პეიზაჟი. ყველა ამას აგვირგვინებს მთისა და ზღვის ჰაერის შეზავება. სამკურნალო წყლისა და ბუნების ასეთი სასურველი შეზავება კიდევ უფრო ზრდის კურორტის მნიშვნელობას.

მოკლე ხანში ცაიშის მინერალური წყლები კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ჯანმრთელობის დაუშრეტი წყარო გახდება.



## ჭადრაკი

### ორი ეტიუდი

**გ. ნადარეიშვილი**



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს

1. h5- h6. ...

თეთრების მიზანია შავი მეფე გადაიყვანონ h6 უჯრაზე.

1. ... მფ g5-h6

პაიკის აყვანა აუცილებელია.

2. მ b7-d6!

ერთადერთი სვლაა მიზნის მისაღწევად.

2. ... g3-g2

3. მd6-f5+მფh6-h7

3. ... მფ h5 თამაშის დროს 4. მg3+ და 5.მe2 და შავების საშიში პაიკი იკარგება; თუ 3. ... მფg6, მაშინ 4. მh4 + და შავების პაიკი მაინც განწირულია, ხოლო თუ 3. ... მფ g5 4.მd4 g1ლ 5. მ f3+მეფეზე და პაიკზე ორმაგი მუქარით; აი, რატომ არის უკეთესი 3. ... მფh7-ის თამაში.

4. მc8-e7 g2-g1 ლ

5. მფa3-b4! ...

მეფით სხვა დანარჩენი გაგრძელება წაგებით მთავრდება. განვიხილოთ 5. მფb3? სადაც თეთრები შემდეგნაირად აგებენ: 5. ... ლ c5! ლაზიერმა დაიკავა ისეთი ადგილი, საიდანაც მისი სამოქმედო ასპარეზი დაზღვეულია მხედართა მუქარისაგან. 6. მფb2 ლc4 7.მფb1 ლc3 8. მფa2 ლb4 9. მფa1ლ b3 და თეთრი მეფე პატის მდგომარეობაშია, რის გამო მხედრები იძულებული არიან დაიშალონ, ამის შემდეგ შავების მოგება აშკარაა.

ამრიგად, თეთრებმა c5—უჯრის დაკავებით აიცდინეს a1 კუთხეში მეფის გამომწყვდევა, ხოლო a8 და h1—კუთხეებში მეფის მიყვანა შეუძლებელია ლაზიერის სამოქმედო უჯრებზე მხედართა მუქარის გამო.



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

1. f3-f4 ...

სხვა სვლის შემთხვევაში შავი მეფე იკავებს g5—უჯრას, რის შემდეგ შავები ადვილად იგებენ პარტიას.

1. ... d3-d2

2. ეc1-h1! c4-c3

3. მფb8-c7! c3-c2

4. ეh1-h5 და შავების მეფე იზოლირებულია......

4. ...... c1ლ ან d1ლ

5. ეh5-g5+და ყაიმი მუდმივი ქიშით.

## უცხოეთის ჰუმორი

### ვერცხლის თაგვი

ბონის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ასეთი ანეგდოტი: დასავლეთ გერმანიაში აშშ-ს უმაღლესი კომისარი მაკლოი საქვეყნოდ ცნობილ კელნის ტაძარს ათვალიერებს. ტაძრის დიდებული სანახაობით განცვიფრებული მაკლოი უეცრად სახელგანთქმულ ვერცხლის თაგვთან ჩერდება.

„რა არის ეს?“—კითხულობს მაკლოი.

მას განუმარტავენ, რომ 800 წლის წინათ ქალაქ კელნმა თაგვების უდიდესი შემოსევა განიცადა. უამბობენ თუ რამდენი ვედრება და რამდენი კატები დასჭირდათ ამ უბედურების ასაშორებლად ქალაქის მცხოვრებლებს. შემდეგ მოუთხრობენ თუ განსაცდელისაგან როგორ იხსნა ქალაქი ამ ვერცხლის თაგვის წინაშე ლოცვაკურთხევამ. მაკლოის გაეცინა:

„და თქვენ გჯერათ რაიმე ამ ისტორიისა?“

„რასაკვირველია არა,—მიუგო გამყოლმა,—ასეთი რამ მართლაც რომ გვიშველიდეს, მაშინ ჩვენ დიდი ხნის წინათ დავდგამდით აქ პატარა ვერცხლის ამერიკელს...“

„ფრიდენს პოსტი“

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:**

1. შენობის ნაწილი. 5. ქიმიური ელემენტი. 6. გოგირდმჟავას წარმოებისას მიღებული ნარჩენი. 8. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო აღმოსავლეთში. 10. გერმანელი მწერალი. 12. ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი დარგის სპეციალისტი. 13. გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი. 14. ქალაქი ევროპაში. 15. ნახევარკუნძული აზიაში. 16. ლიტერატურული მიბაძვა. 18. სავაჭრო დაწესებულება. 21. სასოფლო-სამეურნეო იარაღი. 25. ტექნიკური განათლების მქონე პირი. 27. სახელმწიფო ევროპაში. 29. მუსიკალური ინსტრუმენტი. 31. სახელმწიფოთა პოლიტიკური კავშირი, რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. 34. ქართული ხალხური ზღაპარი. 35. გულიდან სხეულისათვის სისხლის მიმწოდებელი ძარღვი. 37. ველი. 39. მუსიკალური ინტერვალი. 41. ყველაზე ახალი კურორტი საქართველოში. 42. ტრანსპორტის სახე აღმოსავლეთში. 43. პერსონაჟი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან. 46. ქალაქი იტალიაში. 47. განცხადება. 48. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან. 49. შეჯიბრი. 50. საფოსტო გზავნილი.

**ვერტიკალურად:**

1. რაიონი პოლონეთში. 2. მუსიკალური ბგერა. 3. რახმანინოვის ოპერა. 4. სახელმწიფო ევროპაში. 5. მუსიკალური ნაწარმოები. 7. პერსონაჟი ტ. სიომუშკინის რომანიდან. 9. ზანგი მომღერალი. 11. ჩანჩქერი ამერიკაში. 16. წილხვედრი. 17. რომელიმე კლასის ან ჯგუფის ინტერესების გამომხატველი. 19. რამდენიმე ცალკე მანქანისაგან შემდგარი რთული მანქანა. 20. ლ. ტოლსტოის რომანის გმირი. 21. ფრინველი. 22. ღვინის შესანახი შენობა. 23. ქართველი სახალხო გმირი. 24. უცნობი სიდიდე მათემატიკაში. 26. ი. ჭავჭავაძის ლექსი. 28. მდინარე აზიაში. 29. ხის ჯიში. 30. სხეულის თვისება შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა. 32. ჟ. სანდის ნაწარმოები. 33. ფართობის საზომი ერთეული. 36. სახელმწიფოს დროებითი მმართველი. 38. ფრიმლის და შტატგარტის ოპერეტა. 39. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 40. მთა სომხეთში. 44. დადგენილი ზომა. 45. კურორტი შავი ზღვის პირას.

### „დროშის“ № 10-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად:

6. მანტისა. 9. ეროზია. 10. ნოველა. 12. წავი. 13. ამპლიტუდა. 14. თასი. 17. ნავოი. 20. არმია. 22. სიენიტი. 23. დინი. 24. ლირა. 25. არმაზი. 26. გორილა. 27. იდეა. 29. ოსლო. 30. ანარქია. 31. ირემი. 33. ჰინვა. 37. გემი. 38. ფილოსოფია. 39. აბაი. 42. გნეისი. 45. მოტორი. 46. აკოლადა.

ვერტიკალურად:

1. გუნი. 2. ტუია. 3. ფაზა. 4. ნევა. 5. ტრავმა. 6. მაგმა. 7. ანოდი. 8. ალმასი. 11. ლიმონი. 15. ლოგარითმი. 16. არტილერია. 17. ნანსენი. 18. რიაზანი. 19. ატროფია. 21. ალიასკა. 28. არაქსი. 32. რომანი. 34. ვებერი. 35. სირია. 36. დიუმა. 40. აისი. 41. ეტნა. 43. ნოტა. 44. ბახი.

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII-52 წ. გამომც. № 258 ნაბეჭდი ფურც. $3^{1}/_{2}$ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 832 უე 06166

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 3 მან.



ეროვნული
ბიბლიოთეკა